

გურამ კუტალაძე

ვა(ჰა)ნის  
ქვაბები

თბილისი  
2018

კურამ კურალაძე

ს ე რ ი ა: მესხეთის ძეგლები

ვა(ვა)ნის  
ქვაბები

თბილისი  
2018

**რედაქტორი:** ი. ტალახაძე, დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** გ. ჩიხრაძე, დოქტორი, პროფესორი

რ. კორშია, დოქტორი, პროფესორი

## შესავალი

თმოგვის ციხისა და ვარძიის სიახლოვეს ჯავახეთის ზეგანი ნალისებრ ფრიალოდ ეშვება თითქმის ზედ მდინარემდე. კანიონის სიღრმიდან იტაცებს მზერას მოქათქათე მცირე ეკლესია, ლვთისმადიდებელ წინაპართა მიერ თვალშეუდგამ ქარაფზე გამართული, ჩაშავებულ ქვაბ-სახიზართა საალყოდან, თითქოს, ცისკიდურისაკენ გაწვდილი. საქართველოში მეუდაბნოებითი მოძრაობის საწყისი დღეების პირმშო, ვანის ან როგორც მას ძველად უწოდებდნენ, ვაჟანის მონასტერი, ვარძიასთან ერთად, ქართული ქვაბ-კვეთილობის შთამბეჭდავ, მართლაც, უნიკალურ ანსამბლს ქმნის.

სამცხეში, წერს ვახუშტი ბატონიშვილი, „ბოცოს წყალსა და ქუაბლოვანის წყალს შორის, ხვანასა და უდეს შორის არს მთა, წარსული გურიის მთიდან აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანას მონასტერი, შუენიერი, კეთილ-ნაგები, და მუნევ ქუაბნი გამოკუეთილნი, დიდ-დიდნი, კლდესა შინა და აწ უქმნი. ამავე მთაში არიან ზეგანს დაბნები“ (ვახუშტი 1973, 665). უნდა ითქვას, რომ ამ გეოგრაფიულ არეალში სადღეისოდ ვანა/ვანი სახელი არც ტოპონიმიურად ფიქსირდება და არც რაიმე საკულტო თუ საერო ნაგებობის აღმნიშვნელად; გ. ბოჭორიძე ვახუშტის ამ პასაუის კომენტირებისას მიუთითებს, რომ საამდროოდ „სახელი ვანა არ შენახულა. ეს უნდა იყოს ბუზმარეთის (?) ეპლესია“, თუმცა იქვე დასძენს, რომ „გამოქვაბულები ბუზმარეთის მიდამოში არ არის“ (ბოჭორიძე 1992, 61).

შეუძლებელია დავადგინოთ, რას გულისხმობს ბატონიშვილის „განას მონასტერი“, მართლა ბუზმარეთის ეკლესიას, რაშიც გ. ბოჭორიძეც შეეჭვებულა, თუ ჩვენს სამონასტრო კომპლექსს, შეცდომით. სხვაგან კი, „მესხური დავითნის“ ტექსტის მიღევნებით, ის ვანის ქვაბებს ზუსტ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოცვაში ასახელებს – შაჰ-თამაზ ყაენმაო, წერს მეცნიერი, „აღიდო ვარძია, თმოგვ, ვანის ქუაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი და აწყურის ღვთისმშობელი ტყუე-ჰემ“ (ვახუშტი, 1973, 716), ან კიდევ: „მერმე მივედით თმოგუს, ქალაქი მოვარბივეთ... ორშაბათს ვანის ქუაბებს მოვადექით, ოთხშაბათს შესევით ავიდეთ, პარასკევს რჩეულიანნი შევყარეთ, კრას ოლადის ქვაბნი ავიდეთ<sup>1</sup>...“ (ვახუშტი 1973, 719).

1886 წელს ცნობილმა სიძველეთმცოდნემ და ისტორიკოსმა თედო ქორდანიამ გამოაქვეყნა „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა და „ძეგლი“ ვაჟანის ქვაბთა“ (ქორდანია 1886). ამ პუბლიკაციით პირველად გაეცნო წიგნიერი საზოგადოება ქართული საეკლესიო სამართ-

<sup>1</sup> ეს ადგილი პირდაპირად ამოღებული „მესხური ფსალმუნის ქრონიკიდან“ - „...მოვედით ზედა თმოგუს. და თმოგუს ქალაქი მოვარბივეთ... და ორშაბათს ვანის-ქუაბს მოვადეგით და ოთხშაბათს იერიშით ავიდეთ და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდეგით, რჩეულიანი შემოვიწყებნით. კუირას დღეს ოლადის-ქუაბი ავიდეთ, ამოვედით, კარწახს დავდეგით“ (შარაშენიძე 1961, 44). ქ. შარაშენიძის შენიშვნით, „ვახუშტის დიდი დამსახურება მიუძღვის სამხრეთ საქართველოს XVI ს. ისტორიის ცარიელ ფურცლებზე მატიანისეული მასალისა (იგულისხმება „მესხური ფსალმუნის ქრონიკა“, გ.ქ.) და სხვა სარწმუნო ცნობების უხვად შეტანის საქმეში. ამ მხრივ მან სრულიად უვალი გზა გაკაფა“ (შარაშენიძე 1961, 123).

ლის ორიგინალურ ნიმუშს, ჩვენამდე სრული სახით  
მოღწეულ ერთადერთ ქართულ სამონასტრო წეს-გან-  
გებას, XIV საუკუნეში ვაჲანის ქვაბთა მონასტრისათ-  
ვის შედგენილს მის მეპატრონეთა მიერ. აქედან მოკიდ-  
ებული ვანის ქვაბები და მისი „განგება“ დაუცხრომელ  
მეცნიერულ ინტერესს ინარჩუნებს.

ქვაბები და მასთან დაკავშირებული სიძველეები  
1933 წელს აღწერა და მისთვის ნიშნეული კვალიფიკა-  
ციით პატარა ეკლესიის რამდენიმე საგულისხმიერო  
წარწერა გადმოიდო გ. ბოჭორიძემ (ბოჭორიძე 1992).  
ამავე წელს სწვევიან მონასტერს ს. ჯიქია და ნ. ბერ-  
ძენიშვილი, რომელმაც ამავე ეკლესიის 50-ზე მეტი ეპ-  
იგრაფიკული მასალა აღნუსხა და გამოაქვეყნა კიდეც  
(ბერძენიშვილი 1961).

ვანის მონასტრის ტიპიკონი, მრავალმხრივი მეცნიე-  
რული და პრაქტიკული ღირებულების ძეგლი, ტექსტო-  
ლოგიური გამოკვლევითურთ 1939 წელს გამოაქვეყნა  
ლ. მუსხელიშვილმა (მუსხელიშვილი 1939). მანვე, „გან-  
გების“ ტოპონიმიკური ინფორმაციის შეჯერების შედუ-  
გად, დადგინა, რომ „ვაჲანის მონასტერში“ ჯავახეთის  
ვანი იგულისხმება, რაც, მოგვიანებით, ს. ჯიქიამაც  
დადასტურა, ამჯერად უკვე „გურჯისტანის ვილაიე-  
თის დიდი დავთარი“-ს მონაცემების საფუძველზე (ჯი-  
ქია 1941; ჯიქია 1958). ტიპიკონი, განმეორებით, 1970  
წელს გამოსცა ი. დოლიძემ (დოლიძე 1970).

ქართული საკორპორაციო სამართლის ფუძემდებ-  
ლური საკითხების დამუშავებისას ივანე ჯავახიშვი-  
ლის მეცნიერულ თვალსაწიერში პირველ რიგში

ვა(პა)ნის მონასტრის, ამ კუთხით მეტადრე გამორჩეული, წეს-განგება მოექცა (ჯავახიშვილი 1984).

მონასტრის მცირე ეკლესიის წარწერები და პოეზიის ნიმუშები გამოსცეს ვ. ცისკარიშვილმა (ცისკარიშვილი 1952; 1954; 1959) და შ. ონიანმა (ონიანი 1959; 1960). სხვადასხვა დროს ძეგლსა და მის სიძველეებს შეეხნენ პ. კეკელიძე (კეკელიძე 1974), გ. მოდებაძე (მოდებაძე 1979), ვ. სილოგავა (სილოგავა 1994), ა. ფირფილაშვილი (ფირფილაშვილი 1997), ი. ხუსკივაძე (ხუსკივაძე 2003) და სხვ.

ძეგლის არქიტექტურულ-არქეოლოგიური შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ამაგი უძვეს გ. გაფრინდაშვილს. მან გამოავლინა და შეისწავლა პირველმეუდაბნოეთა საკულტო თუ საბინადო კლდე-მღვიმეები, არქეოლოგიური სიძველენი და მონასტერთან დაკავშირებული, ისტორიული თვალსაზრისით, მეტად ფასეული ეპიგრაფიკული ძეგლები, მოგვცა ქვაბ-სადგომებისა და სამლოცველო-ეკლესიების ანაზომები და არქიტექტურული აღწერილობანი (გაფრინდაშვილი 1966; 1969; 1971; 1972; 2000 და სხვ), რომელთა ძირითადი დებულებანი სათანადოდ არის კიდეც ასახული წინამდებარე ნარკევეში.

„თმოგვის ციხე-ქვეყანა“, სადაც ჩვენი მონასტერი მდებარეობს, ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერესით შეისწავლა პროფესორმა დ. ბერძენიშვილმა და თავის შრომებში მისი კუთვნილებისა და ისტორიული ბედის თაობაზე არაერთი საინტერესო მოსაზრება გაგვიზიარა (ბერძენიშვილი 1985; 1988; 2005).

ი. ტალახაძემ „ვაჰანის ქუაბთა განგების“ მონოგრაფიულ, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით შესწავლასთან ერთად, ხელახლა, ლ. მუსხელიშვილის და ი. დოლიძის შემდეგ, გამოსცა მონასტრის ტიპიკონის ტექსტი სათანადო მეცნიერული აპარატითა და კომენტარუბით (ტალახაძე 2009).

ბოლო წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე საცნობარო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი, სადაც ვანის ქვაბებზეცაა საუბარი (ჯავახეთი... 2000; ელიზბარაშვილი, კუპატაძე 2011; შუბიონიძე 2011 და სხვ.).

საყურადღებო მასალას ჩვენი ძეგლის, მისი სიძეველების, აქ გამოვლენილი პოეტური ნიმუშების შესახებ ვპოვებთ „ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“-ს აკადემიურ გამოცემაში, რომელიც 2012 წელს განხორციელდა ვ. სილოგავას, ლ. ახალაძის, მ. ბერიძის, ნ. სულავასა და რ. ყავრელიშვილის მიერ.

2013 წელს გამოიცა სოლიდური კრებული, – ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია“, სადაც ვანის მონასტერსაც აქვს მიჩენილი ადგილი (ყიფიანი 2013, 246-253).

ისტორიოგრაფია ვაჰანის სამონასტრო კომპლექსისა, როგორც ჩვენს მიერ აქ ჩამოთვლილი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაც ნათლად აჩვენებს, მეტად მდიდარი და ფასეულია, მაგრამ არქეოლოგიურ-არქეოგრაფიული კვლევა-ძება სავსებითაც არ დასრულებულა. ბევრი რამ დაზუსტებას ითხოვს, უფრო მეტიც, – წუთისოფლის კანონისა თუ ისტორიული კატაკლიზმების წყალობით თვალთ მიფარებული, – გამო-

მზევებას და კუთვნილი ადგილის მიჩნას მონასტრის ისტორიაში.

## სამკვადროებელი კურგენათი

ვანის ქვაბთა მონასტერი საქართველოში ასკეტურ-მონაზონბითი მოძრაობის ანუ მეუდაბნოების დასაწყის ხანაშივე დაარსებულა, ამიტომ ითვლება იგი ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს ქვაბოვან სამონასტრო კომპლექსად. განდეგილობითი ცხოვრება, გ. გაფრინდაშვილის მითითებით, აქ V-VII საუკუნეებიდან იწყება - „ვანის ქვაბი, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ერთ-ერთი უძველესი უდაბნოა საქართველოში. ეს მტკიცდება ძეგლის ქვაბოვანი ხასიათით, სახელწოდებაში ორი ტერმინის არსებობით „ვანი“ და „ქვაბი“ და XII საუკუნის ტიპიკონში მონასტრის მოხსენიებით „უდაბნოდ“ (Гафриндашвили 1988, 36). წარმოდგენილი დათარიღება ძეგლისა სხვა სახის, ძირითადად მაინც, არქეოლოგიური, მონაცემებითაცაა გამყარებული და, ამდენად, მასში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. რაც შეეხება „ვანი“, „ქვაბი“ და „უდაბნო“ სიტყვებს, მათს ცნებით შინაარსს, საქმე მატერიალური ობიექტების საკრალურ, მე-

უდაბნოების პრობლემატიკის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობის სიმბოლიკასთან გვაქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ორიოდ სიტყვა ვთქვათ მათზე.

არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი „ვანი“ ქართულში „ბერის სადგომს“ აღნიშნავს, კონკრეტულად, „ქვაბოვან-სადგომს“, ხოლო, „ქვაბი“-ტერმინით ასევე, განდეგილობითი მოძრაობის დასაწყის ხანაში, „მონაზვნის ქვაბოვან“ სადგომ-სახიზრი აღიწერებოდა და „უდაბნოდ“ იწოდებოდა. ამდენად, „უდაბნო“ ცნება-ტერმინი ყოველთვის და მხოლოდ ქვაბთან, ქვაბოვან რელიგიურ ძეგლთანაა დაკავშირებული - „термином „удабно“-„пустинь“ называется пещерная обитель на ранних ступенях пустынничества и всегда и только он связан „кваби“ и спешерными религиозными памиатниками“ (Гафриндашвили 1988, 38) - გამოდის, რომ ტერმინები – „ვანი“, „ქვაბი“ და „უდაბნო“ – ბადალი ცნებითი შინაარსისანი ყოფილან, აღმნიშვნელი ბერ-მონაზვნის ქვაბოვანი სადგომ-საცხოვრისისა, საბოლოოდ კი, სამონასტრო კომპლექსის<sup>2</sup>.

---

<sup>2</sup> გ. გაფრინდაშვილის მოსაზრება ვრცლად, ავტორისეული აბზაცების დაცვის გარეშე: „Изучение спелеистических объектов во взаимо связи сих топонимикой выяснило, что „Вани“ на грузинском языке вообщеозначает „помещение монаха“, а в частности „пещерную обитель“ (пустын, которая в литературе зафиксирована в Мученичестве св. Шушаники - V в.), а термин „кваби“ по-грузински означает вообще „пещерное укрытие“, убежище, а на ранних ступенях развития монашеского движения, т. е.

პირველ რიგში, დავაზუსტებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში, მისი განვითარების ყველა საფეხურზე „ვანი“ და „უდაბნო“ ტერმინები საგანთა ურთიერთსაპირო-სპირო არსობრიობას გადმოგვცემენ „ვანი“//„ვანა“ საბასულხანთან განმარტებულია როგორც „სადგომი“, „სავანე“ (ორბელიანი 1991); უდაბნო კი, ჩვენი ლექსიკოლოგის სიტყვით, „იგი არს, სადა არა არს შენებულობა“ (ორბელიანი 1991). ეტიმოლოგიურად უდაბნო

---

в эпоху пустынничества, „пещерное укрытие монаха“. Выяснено также, что термином „Удабно“ - „пустынь“ называется пещерная обитель на ранних ступенях развития пустынничества и всегда и только он связан с „кваби“ и с пещерными религиозными памятниками. Ключ к выяснению смысла топонима „удабно“ - пустынь дали следующие объекты: Удабно в Гареджи, в чиатура, около Чохатаури и цхинвали. Анализ указанных объектов дал возможность представить пещерные обители как удобно-пустыни. Эти изыскания подтверждаются и письменными источниками, например, житиями грузинских, так называемых, „тринадцати сирийских“ отцов и „Григола Хандзтели“. Выявление таких пещерных памятников установило широкую склонность к пустынничеству в Грузии, которое предшествовало развитию монастырской жизни. По изученным нами материалам Армении и России также подтверждается, что термины „Аир“ и „Печера“ означают на ранних ступенях развития пустынничества „пещерное укрытие“, т. е. „Кваби“, а „Пустынь“ - „Удабно“. Это дает нам право обобщения - все страны в период принятия и утверждения христианского вероучения, как правило, должны были пройти ступени пустынничества в пещерах, что не надо смешивать с монастырской жизнью“ (Гафриндашвили 1988, 38).

ლექსემა დაბა-ს, ძველქართულად დასახლებულ ადგილს უკავშირდება, მისგან მომდინარეობს და მისსავე ოპოზიციას წარმოადგენს: დაბა → უდაბა-ნო → უდაბ-ნო; საუკეთესო ნიმუშს აღნიშნულ შინაარს-პირისპირობისა ძველ ქართულ მწერლობაში გპოვებთ: „აქ უდაბნო ადგილია, ჟამიც გვიანი; გაუშვი ეს ხალხი, რომ წავიდეს სოფლებში და საჭმელი იყიდოს თავისთვის“ (მათე 14,15); „განუტევე ერი ესე, რაითა წარგიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და არა პოვონ საზრდელი თავისა მათისაი, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ“ (ლუკა 9,12). უდაბნო უდაბანო სივრცეა, ბუნებრივ-გეოგრაფიულად, შესაძლოა, ფრიად კეთილად შეზავებულიც „მზისაგან და პაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხეი შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა, არამედ განწესებით დგას თვესსა საზღვარსა უნოტიო, უხორშაკო, უმიწო, მზუარეი..., წყალი კეთილი და შეშაი ნებისაებრ... ურიცხვ მაღნარ და სიმრავლე წყალთა პამოთაი, ბუნებითი მხიარულება მოცემულ არს ღმრთისაგან“ (ძველი... 1978, 151-152).

ასე, უშენ და უბინადრო ადგილს, უდაბნოს, კაცთა სადგურებისათვის შექმნილი სადგომ-სამყოფელი და მოსასვენებელი ალაგი – ვანი//სავანე უპირისპირდება, ეგვევ სავანე მიემართება მონასტერსაც, ზოგადად, საკულტო ნაგებობას, ვითარცა ძეხორციელის სულის მისადრეკს.

ვანი სიტყვა ძველი სპარსულიდანაა შეთვისებული და ასიმილირებული ქართული კულტურის წიაღში

ისე, რომ მისი „უცხოობა უკვე აღარ შეიგრძნობა“ (ანდრონიკაშვილი 1966, 23). სემასიოლოგიურად იგი, მეცნიერის თქმით, ამოდის „ვაჲ-, ყოფნა“ // „ცხოვრება“ ძირიდან, „ძველი სპარსული ვაჲანა“ ლექსემიდან. სიტყვის თავდაპირველი შინაარსის გასარკვევად ყურადღებას იპყრობს ახალი სპარსულის „განდეგილი“, კომპოზიტი, რომლის პირველ წევრს ქართული „სავანეს“ მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორე სემანტიკით „თაყვანის-მცემელს, პატივისმცემელს, მსახურს, მონას და სხვ“ ეთანატოლება (ანდრონიკაშვილი 1966, 235). შესაძლებელია, რომ ძველი სპარსულისაგან ნამემკვიდრევი ლექსემა ვანი, ძველ ქართულში „ვაჲანი“ ფორმით დამკვიდრებული (ასე იწოდება კიდეც ჩვენი სამონასტრო კომპლექსი XIV საუკუნის მიწურულამდე, მონასტრის ტიპიკონის 1393 წლის ერთერთი მინაწერით, უკვე „ვანი“ ფორმა დასტურდება), თავდაპირველად მართლაც საკრალურს მიემართებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში მან წმინდა ყოფითი შინაარსიც დაინარჩუნა და სადაგის, მიწიერის აღმნიშვნელადაც მოგვევლინა. ამ ორივე მნიშვნელობით არის ის დადასტურებული ქართულ საერო თუ საეკლესიო ლიტერატურაში: „ოდეს გერლარა იტევდა ძურძუებეთი კაცთა, „ბ“ მეფემან საურმაგ აჟყარა მუნიდამ და მისცა აქა სავანე და დასხნა სული დიდალნი“ (ლეონტი 1955, 788); „რომელ ვანება, რომ ელვანება /შენ ოდენ გქონდეს მაცისკრებარე!“ (ჩახრუხაძე 1978, 565); „.... აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისიმე წმიდისა ვანად მისრულე იყო“; „და ვიჯმენ მისგან და წარვედ სასწრაფოდ ვანად ჩემდა“

(ხუცესი 1978, 27, 34); „შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუებისასა და სავანნა განპმზადეთ“ (საბანისძე 1978, 60); „და ესრეთ მოვიდა მამა გრიგოლ თვისსა ვანსა“; „ჯვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედა-თა, რომელსა აწ პრქვან გუნათლის ვანი“ (მერჩულე 1978, 138, 140).

ვანი სიტყვამ ტოპონიმიკურადაც ფართოდ მოიდგა ფეხი ქალაქისა თუ სოფლის (იმერეთში, აჭარაში, გურიაში, კახეთში), მთის, ჭალაკისა თუ ვაკის (გურიაში, მესხეთში, იმერეთში) და სხვ. სახელდებებში. თავისთავად, ვან-ფუძის ტოპონიმთა ასეთი სიმრავლე და მისით აღნიშნულ ობიექტთა მრავალგვარობა ერთ-ერთ არსებით არგუმენტად მიგვაჩნია გასამყარებლად იმ აზრისა, რომ სამუალო საპარსულიდან ნამემკვიდრევი ამ სიტყვით ნებისმიერი სამყოფ-საცხოვრისი, საეროცა და საკულტო-რელიგიურიც აღინიშნებოდა უკვე პირველ-ქრისტიანობისა და მეუდაბნოების სანაშივე.

სამონაზვნო-ასკეტური მოძრაობა, როგორც ცნობილია, აღნიშნული ოპოზიციური წყვილის ერთ-ერთ წევრს - უდაბნოს, კაცთაგან უგალ და უშენ ადგილს უკავშირდება. მეუდაბნოები ასკეტი ბერ-მონაზვნები არიან, რომელნიც სულის სავანედ და ღვთის სამსახურად უდაბან-ო ქვეყანას ირჩევენ, მას ეშურებიან. მათს ასეთ დაუოკებელ უდაბნოთმოყვარეობას ღრმა რელიგიური საფუძველი გააჩნია; საქმე მხოლოდ მარტოდ მყოფობის ან წუთისოფლის შფოთის, ბიწისა თუ ზაკვისაგან გაქცევა-გარიდებით მოტივირებულ მისწრაფებასთან კი არა, თეოლოგიურ-თეოსოფიურ მოძრაობასთან გვაქვს, რომლის მისტიკური შინაარსი ბიბ-

ლიიდან იდებს სათავეს, მისგან მომდინარეობს, ამიტომც ბიბლიის უდაბნო ბერ-მონაზვნური ასკეტიზმის, კერძოდ, განდეგილობის წინა სახედ არის მიჩნეული (პაპუაშვილი 1996, 132).

უდაბნო ბიბლიაში წმიდა მიწას განასახიერებს, კაცთაგან შეულახს, უვალს და უთელს, მით, მიტომაც, ამაღლებულს წუთისოფლის, ადამის ძის ცხოვრების ორომტრიალში „ჩართულ“ მიწასთან მიმართებით, როგორც „ფეხდაუდგმელი მიწა – ერთადერთი ადგილი ღვთის თაყვანისცემისა“ (ზ. კიკნაძე). თეოლოგთა კომენტარებით, უდაბნოს ვერ განვიხილავთ მხოლოდ სავალ გზად, რომელიც დაძლია ეგვიპტიდან გამოსულმა ხალხმა. უდაბნო განსაწმენდელი ადგილია, მწრთობელი ადამის ძის ზნეობითი და გონებითი ნებისა, მისივ „სულიერების და სირცხვილის“ ცეცხლით. ამ გზით მავალი ადამიანი, მონადშობილი, უბირი და უმეცარი, ფერიცვალობს სულიერად და გონით-სუბსტანციურად. ზ. კიკნაძის თქმით, ესაა „ეპოქა“ უდაბნოზე მავალი ხალხის ერად მდგენი და მაღუდაბებელი. მათ იმიტომ უნდა ევლოთ უდაბურებაში, რომ მარტო შთვნილიყვნენ თავიანთ თავთან, რათა საკუთარი თვითობა „უშუალოდ, აბსოლუტურად, ისე როგორც აბსოლუტური, შეუდარებელი, ერთადერთი იყო ის ღმერთი, რომლის იდეალების მისაღებად უნდა გარდაქმნილიყო მისი შეგნება“, შეემცნებინებინათ (კიკნაძე 1996, 48). ეგვიპტიდან გამოვიდა ბრბო მეკერპე და თვითრჯული, ხოლო უდაბნოში გამოიზარდა ერი უფლის მაღიდუბელი, თავისუფლებისადმი ნების მექონი, თავისუფლე-

ბის კულტურის შემოქმედი და მით დვთის ხატი და მსგავსი, ამიერიდან ამ ხატებისა და მსგავსების მაცნობიერებელი და მამკვიდრებელი საკუთარ ეროვნულ არსებობაში.

ანალოგიურად, მეუდაბნოეთა და განდეგილთა იდეალი თვითწვდომის გზით დვთაებრივი განბრძნობა და დვთის შემეცნებაა. სოფელ-დაბათაგან განდგომა, უკუგდება ყოველივე საამსოფლოსი უმთავრეს პირობად იქცა აბსოლუტურის გააზრების გზაზე; ქრისტიანი ბერ-მონაზონი, მსგავსად ბიბლიური წინაპარისა – აბრაამისა თუ მოსესი, მარტოდმარტო უნდა შთენილიყო უხილავი და ყოვლადსრული ღმერთის წინაშე, მოცალე ყოველგვარი გარეშე საზრუნავისაგან (რუსთაველური „მოცალეობა“), რათა „სოფლისშვილობის“-გან, საწუთისოფლო ლხენა-ჭირისა და ფიქრ-ზრუნვისაგან თავდახსნილი მთელი არსებით შესდგომოდა „საზეო“ საქმეს, „ადმაფრენის მომცემს,“ რადგანაც „ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკვანაისთათვის ჟამთა დაპბადნა იგინი (უდაბნონი - გ. კ.) მონაზონთა სამკვიდრებელად და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელად ორ კერძოვე. და რამეთუ განგებასა ღმრთისასა ესე ჩვეულება აქეს, რათა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერი ხელითა გლახაკთაითა აღაშენეს, რომელნიცა სრულიად თავისუფალ იქმნენ სოფლისა საცოტურისაგან“ – განმარტავს გრ. ხანძთელი (მერჩულე 1978, 152). ამ სიტყვებში, ვფიქრობთ, ცნაურდება უდაბნოს როლი და დანიშნულება, რომელიც მოასწავებს ძეხორციელის სულიერ ზრდასა და სრულყოფას, ვნება-

ნდომათაგან გათავისუფლებას; არსობრივად უდაბნო ის ადგილია, სადაც სულ შეუძლია თავი მიიღორიკოს, დაივანოს, რათა ნათელ იღოს და იკურთხოს, რაც შეადგენს არსს ასკეტიზმისა, მეუდაბნოეობა-განდეგილობისა. ამდენად და „ამიტომაც მოიხსენიება ქრისტიანული სავანეები-მონასტრები უდაბნოდ, რომელთაც სწორედ „ებრაელთა გზის“ ფუნქცია აქვს“ (პაპუაშვილი 1998, 132).

საბოლოოდ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ უდაბნო და ვანი ტერმინებით სადაგ მეტყველებაში პირის-პირობითი, ოპოზიციური ცნებები გაღმოიცემა, ხოლო რელიგიურ-საკრალური მნიშვნელობით, ვანი და უდაბნო სავსებით ავსებს ურთიერთს - უდაბნოცა და ვანი/სავანეც ადამის ძის ღვთისმაძიებელი სულის მისადრეკი და საყუდელია, ღმერთთან ადამიანის მიმართუბის საკრალური სივრცე – ეკლესია-მონასტერი.

ასკეტური მოძრაობის რიურაჟზე უდაბნო-მონასტრები ჩვენში უკავშირდება „ქვაბოვან ქრისტიანულ კულტმსახურების ძეგლს, რომლის ფესვებზეც ამოზრდილია სამონასტრო ცხოვრება“ (გაფრინდაშვილი 1988, 6). გ. გაფრინდაშვილის ეს მოსაზრება, ეჭვს არ აღძრავს, ყოველ შემთხვევაში, ასურელი მამების პირველ სავანეებად, თითქმის ყოველთვის, ქვაბები, ქვაბოვანი ძეგლები გვევლინება.

რატომ მაინცადამაინც ქვაბი?

ძველი და ახალი აღთქმის ენა, როგორც ვიცით, იგავურია, სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის, იმდენად, რამდენადაც სიმბოლოებს ქრისტიანული რელი-

გია, ანალოგიურად სხვა რელიგიური სისტემებისა, უაღრეს მნიშვნელობას ანიჭებს. გამოქვაბულს, მღვიმეს დაფარული, ღრმად მისტიკური შინაარსი მიეწერება; იგი პირისპირობაა მთის სიმბოლიზმისა, რომელიც საყოველთაოდ ხილულ ჭეშმარიტებას ანუ მის საბრძანის განასახიერებს, რაც, თავის მხრივ, კაცობრიობის სულიერი მდგომარეობის პირველდაწყებით ხანას მოახვავებს. რ. გენონის მიხედვით, მთა და ქვაბი, რომელიც მთის ძირში ან მის შიგნით მდებარეობს (მღვიმე) თავიანთი სიმბოლური მნიშვნელობით ურთიერთ დაკავშირებული, ურთიერთ შემავსებელია; მთა პირველქმნილობას ატარებს; „она видима снаружи, и притом со всех сторон, в то время как пещера, напротив, является, как мы уже сказали, местом по самой своей сути скрытым и закрытым. Отсюда легко заключить, что отождествление духовного центра с горой соответствует именно первоначальному периоду земного человечества, в течение которого вся истина целиком была доступна всем“ (Генон 2002, 71). სულიერი ვითარების ცვლილების, მისი დაქვეითების ხანაში ჭეშმარიტება იბურება, იფარება, ერთგვარად, სიღრმეში იძირება; მისი ხილვა ჩვეულებრივთა ხვედრი არაა, ისევ გენონს დავიმოწმებთ: „когда, вследствие нисходящего хода цикла, также самая истина стала доступна лишь для более или менее ограниченной "элиты" (что совпадает с началом инициации, понимаемой в самом строгом смысле) и скрыта от большинства людей, пещера сделалась символом более подходящим для духовного центраи, следовательно, для инициатических святы-

лищ, которые являются ее образами. Вследствие такого изменения, центр, можно сказать, непокинул гору, нолиши ушел с ее вершины в глубину“ (Генон, 2002, 72).

დაფარული ჭეშმარიტების გაცხადების საიდუმლო მის მისტიკურ სიღმეშია საძიებელი, ხოლო მისი წვდომა ხვედრია მიმადლებულთა, გონებისა და გულის თვალის მექონთა, „გულგანათლებულთა“, როგორც იტყოდა ილია. ამიტომაც, გონებითა და გულით მჭვრეტი ქრისტიანი ბერი, მაძიებელი ჭეშმარიტების დაფარული სიღრმეებისა (იგივე სიმაღლის), მიელტვის ქვაბს (მღვიმე) როგორც მისი უხილავი არსის საყოფალს. უდაბურებაში ქვაბთა შინა დავანებული, იგი უნდა შეჩაწვდეს ჭეშმარიტების სიდიადეს, მის შემაძრწუნებელ სიმაღლეს და სიღრმეს, მის თვალშეუდგამ სისრულეს.

ამდენად, ქვაბი (მღვიმე), თავისი სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსით დაფარულის, მისტიკურის საბრძანისი და მისი გაცხადების ადგილი, მეუდაბნოე ლვთის-მაძიებელისათვის იდეალურ საგანეს წარმოადგენს.

ალბათ, ძნელია მოიძებნოს მეორე ძეგლი, თავის სახელწოდებაში ასე ცხადად და ზუსტად მიმათითებელი მეუდაბნოების მსოფლმხედველობის, მასთან დაკავშირებული რელიგიური სიმბოლიკის, რაც ხსნის იმასაც, რომ პირველქრისტიანობის ხანაში ყოველთვის ქვაბთან, ქვაბოვან კომპლექსთანაა დაკავშირებული მეუდაბნოება, გ. გაფრინდაშვილის სამართლიანი შენიშვნით სულაც არ ნიშნავს სამონასტრო ცხოვრების დაფუძნებას (Гафриндашвили 1988, 38).

\*\*\*

ვანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსი ნალის ფორმის, „კირქვის, ქვიშა ქვისა და ვულკანოგენური“ წამოშობის ფრიალოში თექვსმეტი იარუსად გამოკაფულ ორასამდე ქვაბ-სახიზარს, კამაროვანი ჭერის კლდის სახლებს და რამდენიმე, უამითი-უამად ნაგებ ეკლესიას აერთიანებს (ყიფიანი 2013, 246). აქაც, ზედაზნის, შიომდგიმის თუ დავით გარეჯის მსგავსად „პირველი ნაციონალური წმინდანების“ ქვაბები რელიკვიასავით ხელუხლებლად შემოუნახავთ ჩვენს წინაპრებს. ესაა „ნალის“ ჩრდილოეთი რკალის მეოთხე იარუსის დონეზე მდებარე ცალკე მღვიმეთა ჯგუფი, მცირე, თითქმის სწორკუთხა ქვაბში გამართული სამლოცველოთი, რომელიც გვიან XIII საუკუნეში მოუხატავთ კიდეც, – აღმოსავლეთის კედელზე გამოუსახავთ მაცხოვარი ორ მთავარანგელოზთან ერთად. სამლოცველოს საკურთხეველი, სწორკუთხა ტრაპეზით გაწყობილი, უაფსიდოა. ასეთივე, დაუმუშავებელი ფორმის სამლოცველოები, დათარიღებული V-VI საუკუნეებით, ქარაფის ცენტრალური ნაწილის სადღეისოდ მიუდგომედ ქვაბებშიც ყოფილა განთავსებული (Гафриндашвили 1988, 39).

მეუდაბნოების ხანის ქვაბების არქიტექტურულ იერსახეს, ჩვენი ძეგლის ნიმუშებით, მათი დანიშნულება განსაზღვრავდა. პირველი ხელოვნური, ანუ, გ. გაფრინდაშვილის ტერმინით, სპელეისტიკური გამოქვაბულები,

ცალკეული კელიები, სავსებით ნებისმიერი, ოვალური, ოთხკუთხა, სულაც შემთხვევითი ფორმისაა, არათანაბარი, დაბალი, ხშირად კედელში გარდამავალი ჭერით და, ზოგჯერ, ერთმანეთს დერეფნით შეკავშირებული. პირველმეუდაბნოე მამებს, დაახლოებით, V-VII საუკუნეებში სამი მცირე დარბაზული ეკლესიაც უშენებიათ (Гафриндашвили 1988, 36).

VIII საუკუნიდან, ასე არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, საქართველოში ასკეტურ-განდეგილობითი ბერ-მონაზვნობა მძღვრი სამონასტრო მოძრაობით იცვლება. ერთმანეთის მიყოლებით აღმოცხნდა, განსაკუთრებით მესხეთში, სამონასტრო ანსამბლები – ხუროთმოძღვრულ პლანში მიწისზედა შენებულობათა კომპლექსი ტაძარ-ეკლესიით, სატრაპეზოთი, დამხმარე სათავსო-ნაგებობებით, ბიბლიოთეკა-სკრიპტორიუმით, ქსენონით და სხვ. (Гафриндашвили 1988, 40). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ამ მეტად ნაყოფიერი, ზოგადკულტურული ღირებულების, სოციალურ-რელიგიური მუშაობის შთამბეჭდავ პანოს წარმოგვიდგენს.

სამონასტრო მოძრაობის ეს მძღვრი ტალღა, რასაკვირველია, ვანის ქვაბებში გამართულ რელიგიურ კერასაც მისწვდა და კომპლექსის არქიტექტურული იერსახე ახალი, ეპოქადური სულისკვეთების გამომსახველი ნაგებობებით შეავსო და გაამდიდრა. პირველი ეტაპი სააღმშენებლო საქმიანობისა IX-X საუკუნეებით იყო არგლება, როდესაც კომპლექსის მეთორმეტე იარუსზე ჩნდება ხუროთმოძღვრულად გამართული მოზრდილი

სადგომები ქართული აგურით მოგებული იატაკით. ამ ხანაშივე, X საუკუნეში, ჩაუტარებიათ რეკონსტრუქცია ჩრდილოეთ რკალის ქვედა იარუსზე განთავსებულ ეპლესიაში, განუახლებიათ და უბრალო, თლილი კარნიზით მოურთავთ მისი დასავლეთი ნაწილი.

მონასტრის გადონიერება და აყვავება XI-XIII საუკუნეებზე მოდის. XIII საუკუნეს განაკუთვნებენ წმ. გორგის ქვაბოვან ეკლესიას (ყიფიანი 2013, 252) რომელიც დიდ სიახლოვეს ავლენს დავით გარეჯას, საბერების და სამსარის ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიებთან. ვანის ქვაბის ამ „გუმბათოვანი დარბაზის“ ე.წ. „კუპოლჰალეს“ ინტერიერი სამად არის დანაწილებული: აღმოსავლეთით საკურთხეველი, ეპოქისთვის ტიპური ხუროთმოძღვრული გადაწყვეტის შესაბამისად, უშუალოდ ცენტრალურ ნაწილზეა მიბმული. დანარჩენი დარბაზი კედელზე მიდგმულ ბურჯებს ორად გაუგვია, რომლის ცენტრალურ ნაწილს აგვირგვინებს აფრებზე გადასული გუმბათი (Гафриндашвили 1988, 40). ფრესკული მხატვრობის შემორჩენილი ფრაგმენტები ადასტურებს, რომ ტაძარი მთლიანად ყოფილა მოხატული.

აღნიშნული არქიტექტურული ფორმამ („კუპოლჲალე“), რომელსაც განეკუთვნება ვანის ქვაბო ეს ეკლესია წმიდის გიორგისა, ფართო გავრცელება სომხეთში ჰპოვა, ხოლო, საქართველოში მხოლოდ ერთეული ნიმუშებიდა გაგვაჩნია. ხუროთმოძღვრულ-კომპზიციური მხრით ეს ეკლესია, გ. გაფრინდაშვილის განმარტებით, მთლიანად ეწერება X საუკუნის ბოლოსა და XI

საუკუნის დასაწყისში გამომუშავებულ „კუპოლპალ-ლეს“ ტიპში, ოღონდაც, მოგვიანო რეკონსტრუქციებს ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებზე დაურღვევიდ მისი კომპოზიციური ერთიანობა; სამხრეთი ნაგებობა ორ სართულიანი ეკვდერია – მეორე სართულზე გამართული აკლდამა-სამწირველოთი, რომლის სამშენებლო წარწერა – „ესე არს სამკვიდრებელი ჩუენ გურგენათი მე იჩქითმან აღვაშენე. შემინდვნეს ღმერთმან“ (სილოგავა, ახალიაძე 2012, 46) – მიუთითოთებს, რომ ვანის ქვაბთა მონასტრის მეპატრონები მახლობლად მდებარე წუნდის ეკლესის მაშენებელი, ჩვენი ვერსიით, შესაძლოა, კლარჯ-ბაგრატიონთა მონადევარი გურგენისძეთა დიდებული სახლი არის, ამ მხარის მამულობით მფლობელი (კუტალაძე 2016). ამ აკლდამის და წუნდის ეკლესის ქტიტორ იჩქითს 1185-1191 წწ. აღუდგენია და გადაუკეთებია 1089 წლის მიწისძვრით განადგურებული წმიდა გიორგის ეკლესია, სადაც გ. გაფრინდაშვილმა მიაკვლია XII-XIII სს. საკურთხევლის ფრაგმენტებს, რომლის დეკორი მეცნიერმა სათხის, გეომეტრიულ და მცენარეულ მოტივებზე შექმნილ, ორნამენტაციას მიამსგავსა.

იჩქით გურგენისძის, საგულვებელია, უნაშენოდ გადასვლის უმაღლესი, გურგენისძეების სამკვიდრო-საპატრონოს ბეითალმანის წესის შესაბამისად სამეფო საკუთრებაში ჩარიცხვა მოჰყვა და მონასტრის გამშვენებასა და გადონიერებაზე ზრუნვაც უკვე სამეფო სახლმა ითავს. თამარ მეფის მითითებით, კლდოვანი მასივის რკალებს შორის მოქცეული კომპლექსის წინა მოედანი

უშეალოდ მწიგნობართუხუცესის მეთვალყურეობით შემოუზღუდავთ, რომელსაც სათანადო წარწერით ისტორიისთვის აღუნუსხავს კიდეც ეს ფაქტი: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ; წელსა მეფობისა მათისასა კ, ანტონ ჭყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე...“ (ცისკარიშვილი 1959, 51). არქეოლოგიური გათხრებისას კათალიკოსის ნაგებ ამ მასიურ, 100 მეტრიან კედელში დატანებული ორი კარიბჭე გამოვლინდა, რაზეც, სხვათა შორის, მონასტრის ტიპიკონშიც არის მოთითებული.

1190-1191 წლიდან, სამეფო კარის მემატიანის უწყებით, მხარგრძელ სარგის ვარამის ძეს „თმოგბ“ და მისი მიმდგომი მამულობით მიუდია (ისტორიანი... 1957, 55). ამ აქტმა მხარგრძელთა შტო-გვარის – თმოგველი<sup>3</sup>-გაჩენა და მხარის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე ამ ახალნერი დიდებული სახლის გააქტიურება და დაწინაურება განაპირობა. ანტონ მწიგნობართუხუცესის სამშენებლო საქმიანობის შემდეგ, მალევე, სავარაუდოდ, 1205-1206 წლიდან, ვანის ქვაბები სამეფო კარის ინიციატივით, თმოგველთ გადასცემია საგვარეულო აკლდამა-განსასვენებლად, რასაც მონასტრული ყოფის გამოცოცხლება მოჰყვა; გაცხოველებულა აღმშენებლობითი საქმიანობა, ახალ მეპატრონეებს უწარ-

<sup>3</sup> გვარწოდებულება „თმოგველი“ მანამდეც არსებობდა; თმოგველი აბაგრატ IV-ის ეპოქი სერისთავთ ერისთავი ფარსმანი, მირაშანის ცხობილი წარწერის მიხედვითალუ-არსლანის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ახალქალაქის აღებისას, ჭიმჭიმელთა სახლის შვილი.

მოებიათ წმინდა გიორგის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები, ეკლესიაზე მიუშენებიათ დასავლეთის პორტიკი და აუგიათ სამრეკლო; XIII საუკუნისათვის დამახასიათებელი მისი ორნამენტაცია და დეტალები წუნდის და ვარძიის მორთულობათა მგვანი, უნდა ვივარაუდოთ, 1283 წლის მიწისძვრამდეა შექმნილი. წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთით, კლდოვანი მასივის ქვეშ მომცრო, მდიდრულად შემკული დარბაზული ეკლესიაა, დასავლეთ კარის სამშენებლო წარწერის გ. გაფრინდაშვილისეული წაკითხვით, ვინმე სამუხამის (ქარაგმით „სმჩმ“), მეცნიერის დაშვებით, თმოგველი ერისთავთ ერისთავის ნაგები, სავარაუდოდ, XIII საუკუნის 70-იანი წლებში, არა უგვიანეს ზემოთ ნახსენები იმ მიწისძვრისა, რომელმაც ვანის ქვაბთა სამონასტრო კომპლექსის ბევრი ნაგებობა შეიირა (Гафриндашвили 1988, 47). ამ ეკლესიის მაშენებლის სახელი ედარება თმოგვის ციხის წმინდა მარინეს ეკლესიის 1304 წლის წარწერის დამდების სახელს: „სახელითა ღვთისაითა... დაბადებულთაგან მიუცომელი შენსა მიუცომლობასა და ძალსა შემოქმედსა ტე მიუცომლად შეცოდებული, დაბადებული შენი სამინამ, როლისათვის არავინ არს ხელის აბყრობელი თუინიერ შენ ღვთაებისაგან კიდე, წმიდაო მარინა, მადლი სამას საღვთოისა, რომლისა თუისა სისხლნი დასთხიენ, სახელსა შენსა ზედა აღმიშენებია ესე მცირე ეკლესიაი მონასა შენსა სამინამს, მეოს მეყავ ორთავე შინა ცხოვრებასა. აღეშენა ესე ეკლესიაი ქორონიკონსა ფკბ, ხელმწიფობასა ყაზანისასა და მეფობასა დავითისასა,

ამენ“ (სილოგავა, ახალაძე 2012, 61-62). დასაშვებია, საქმე ერთსა და იმავე პიროვნებასთან გვაქვს, სხვა წყაროებით უცნობ, მეტი ალბათობით, თმოგველთა სახლის წევრ სამინამთან.

ასკეტურ-განდეგილობით ცხოვრებაში ერთგვარი „კომფორტი“ სამონასტრო მშენებლობის აღმავლობას უკავშირდება. მარტოდმყოფი მეუდაბნოე ბერი გამოდის ქვაბიდან და ბინას ე.წ. კლდის სახლში იდებს, ცდილობს საყოფაცხოვრებო გარემოს კეთილმოწყობას – აფართოებს საცხოვრებელს, ამატებს ოთახ-სათავსოებს და სხვ. თავდაპირველი კლდის სახლები წმინდა გიორგის ეკლესიის სიახლოვეს, სამწუხაროდ, სადღეოსოდ მთლიანად დაქცეულა, სამაგიეროდ, თითქმის სრულად შენარჩუნებულა ისინი სამხრეთი კლდოვანი რკალის მეოთხე იარუსზე.

1283 წელს „... ხვალისა დღე ჯერ იყო სიხარული აღდგომისათვს უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხარულსა, ესოდენ რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა, სიმრავლისათვს უსამართლობასა ჩვენთასა, რამეთუ საფუძვლითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენები მოოკრდეს, მთანი და ბორცვი მაღალნი დაიზუელეს, კლდენი სახედ მტუერისა დაიგალეს... ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე თვისა ერთისა უამთამდე... ურიცხვ სული მოსწყდა, და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო“ (ჟამთააღმწერელი 1959, 277-278). სტიქი-

ონს ვერც ვანის ქვაბები გადარჩენია. არქეოლოგიურმა სამუშაოებმა კატასტროფული ნგრევის საშინელი სურათი წარმოგვიდგინა, რომელიც სრულს თანხმობაშია ფოლკლორულ გადმოცემასთან, შემაძრწუნებელ მიწისძვრასა და ეკლესიის ნაშალში ჯვრისწერის საიდულოს აღსრულებისას დაღუპულ რამდენიმე ნეფეპატარძალსა და მდგდელმსახურზე რომ გვიამბობს გვიამბობს. „ადამიანების ერთი ჯგუფი XIII ს. აგებული ეკლესიის წინ დაღუპულა, რამდენიმე კაცი კი გუმბათიანი ტაძრის ქვითკირის კედელს დაუტანია. ერთ მათგანს სამი ვერცხლის თასი სჭერია ხელში, მიწისძვრას თუ გაურბოდა, მაგრამ კლდის ნაშალში დამარცულა“ (გაფრინდაშვილი 1966, 7). დაღუპული მდგდელმსახურის (?) ვერცხლის თასებს, თავისთავად ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს, ვანის ქვაბთა კომპლექსის მკვლევარი ასე აღწერს: „თასები ხასიათდება დაბალი ოვალური კალთებითა და უქუსლო ფსკერით. თასები შეიცავს ქართულ ორნამენტს – ბრიალა (მზე) ფსკერზე და სხივები კალთებზე. ფსკერის შუაში ამობურცული კოპია ორნამენტით. ერთ მათგანს ბაგრატიონთა გერბი „სოლომონის ბეჭედი“ ამშვენებს“, – საყურადღებო, პირველ რიგში, „თვით თასების დასათარიღებლად. ასეთი ორნამენტი გვხვდება კერამიკულ ჭურჭელზე, არქიტექტურულ ძეგლებსა და მონეტებზე, რომელიც თარიღდება 1260-1280 წწ. თასებზე მისი არსებობა მიუთითებს, რომ ისინი სამეფო სახლისაა და შეუწირავთ მონასტრისათვის“ (გაფრინდაშვილი 1966, 7).

გ. გაფრინდაშვილის მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად გამომზევდა ვანის ქვაბთა ისტორიის

ახალი საინტერესო მასალა მონასტრის ყოფითი ცხოვრების გასათვალისწინებლად. აღმოჩენილი და მეცნიერულად შესწავლილია ფორმით და ორნამენტით გამორჩევით მრავალფეროვანი XVI-XVIII საუკუნეების ლითონის ჭურჭელი. გამოვლენილი კერამიკული მასალის ტიპოლოგიზაცია-კლასიფიკაციამ დაამოწმა მათი ადგილობრივი ტრადიციიდან მომდინარე შემოქმედებით-ნოვატორული თვითმყოფადობა (Бурдиладзе 1988, 71-80). 1964 წლის სამუშაოების დროს კომპლექსის ერთ-ერთ ქვაბში მოპოვებული ქსოვილის ნაშთების ლაბორატორიულმა შესწავლამ გამოავლინა თერთმეტი ნიმუში შალის (მატყლის) და ერთიც სელის ნაწარმისა, რომლებიც ქსოვის ტექნიკითა და ორნამენტაციით „ადასტურებენ ხალხური საფეიქრო ნაწარმის დიდ მრავალფეროვნებას, სამცხეში კუსტარული წარმოების უძველეს ფორმებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხალიჩის და ფარდაგის ქსოვის ხელოვნებას“ (Джалаабадзе 1988, 99-102).

მონასტრის ზღუდის მისადგომებთან, გარეთ, გამოვლენილია VIII - IX საუკუნეების სამოთახიანი, რგაოთახიანი და კოშკიანი ქვის სახლი, საალბათოდ, მონასტრის კრებულის მომსახურე პერსონალის დასახლება, რაზეც ტიპიკონიც საუბრობს – „ხოლო ესეცა განვაწესე, რაითა იყვნენ მონასტერსა ამას ჩუენსა სამკვიდრებელსა ვაჲანის ქუაბსა შინა... რომელ არიან მონაზონნი, რიცხვით ჯ; ხოლო მსახურნი:ი;, რომელი ყოველსავე ტრაპეზისა და სამზარეულოვსა და სახაბა-

ზოდსა სამსახურსა აღასრულებდნენ“ (ტალახაძე 2009, 194).

კლასიკური ხანის არქეოლოგიურ აღმოჩენათაგან აუცილებელია დასახელდეს შთამბეჭდავი კონსტრუქტორული გადაწყვეტის წყალმომარაგების სისტემა და სამგან მიკვლეული სამალავი ქვაბები, ერთმანეთში გამავალი საიდუმლო გვირაბებით, შესაძლოა, ქვაბებში ციხე-სახიზნოს მოწყობასთან დაკავშირებული.

1283 წლის მიწისძვრის შემდეგ მონასტერში გარკვეული აღმშენებლობითი სამუშაოები ჩატარებულა მისი განახლებისა და კეთილმოწყობისათვის; XIV-XV სს. მეოცე იარუსზე ადრინდელი ქვის სახლების ადგილას გაუმართავთ მცირე ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, ზომით  $3,8 \times 2,41 \times 3,6$  მ., აგურისა, აქა-იქ ქვით ნაშენები, დახურული, ზოგან ვერტიკალური გვირაბ-საძრომებით გასაიდუმლოებული. ოეთრად ნალესი ეს ეკლესია განსაკუთრებულ ელფერსა და ანდამატს სძენს მთელს სამონასტრო კომპლექსს, მის, ასე ვთქვათ, სავიზიტო ბარათს წარმოადგენს სადღეისოდ, რომლის წარუვალ კულტურულ-ისტორიულ ღირებულებასაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით.

ვანის ქაბთა მონასტრის გაუგაცურება-გავრანება მტრის მაოხარ თარეშს, განსაკუთრებით ირანელთა 1551 წლისა და ოსმალთა 1578 წლის ლაშქრობას უკავშირდება, თუმცა შინააშლილობასაც არ დაუკლია ხელი ამ მხრივ კომპლექსისათვის, ამიტომაც ასეთ, უამძყოვარ „სისხლისწვიმების“ დროში, დვოთის სახლი თავდაცვის მიზნით უფრო გამოიყენებოდა, ვინემ საკუთა-

რი ფუნქცია-დანიშნულებით (Гафриндашвили 1988, 39), რაზეც წერილობითი წყაროებიც ერთხმობით საუბრობენ – შაპ-თამაზმა „ადიღო ვარძია, თმოგპ, ვანის ქუაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი“ (ვახუშტი 1973, 716); „... მოვედით ზედა თმოგუს. და თმოგუის ქალაქი მოვარბიეთ... და ორშაბათს ვანის-ქუაბს მოვადეგით და ოთხშაბათს იერიშით ავიდეთ“-ო, აცხადებს ჯაფელთა სახლის მემატიანე (შარაშენიძე 1961, 44).

## **დედათა მონასტერის საკითხისათვის ვანის ქვაბებში**

ვანის ქვაბების მცირე ეპლესია XIV-XV საუგუნისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარგადაა ცნობილი ქართული კულტურის, განსაკუთრებით, ლიტერატურული კულტურის, მკალევარ-სპეციალისტებისათვის აქ დაცული „კედლების პოეზიის“ წყალობით, რომელიც ორიგინალური და ფოლკლორული შემოქმედების ნიმუშებს და, რაც გამორჩევით საყურადღებოა, ვეფხისტყაოსნის „უადრეს ხელნაწერ ტაქტებს მოიცავს. ეს „ლიტერატურული სალონი“ ლიტერატურათმცოდნების მიერ ჩვენში XIII-XVII საუკუნეების „მინავლებული ლიტერატურული ცხოვრების“ ფონზე სამწერლობო „გამოცოცხლებად“ არის მიჩნეული, რაც წარწერებისადმი უცხრომელ სამეცნიერო ინტერესს განაპირობებს.

ხოლო, ქართველოლოგიურ ლიტერატურაში, თითქმის ერთხმად, ორიოდ გამონაკლისის გარდა, წარწერების ავტორი ბანოვანები „მონასტერში ერთმანეთის მიმართ მეტად ინტიმურად განწყობილ ქალთა საზოგადოების“ წევრ-მონაზვნებად არიან მიჩნეულნი (ონიანი 1959, 35). ვანის ქვაბებში დედათა მონასტრის, უფრო ზუსტად, „დედათა განყოფილების“ არსებობა პირველად თ. ჟორდანიამ ივარაუდა მონასტრის ტიპიკონის ერთ, 1393 წლისად მიჩნეულ, მინაწერზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც მურვან ღარიბაისძე, საამდროოდ ვანის ქვაბების მეპატრონე, მონასტერს ნასყიდი მამულის მესამედს „მიუძღვანებს“ მისი, მისთა მშობელთა და შვილთა სააღაპედ და ამატებს „... თუ ჩემისა სახლისა ქალმან, ანუ სძალმან ჩოკათა ჩაცუმავ მოინდომოს, ამა მესამედსა მას მიუძღვანებდით,...“-ო (ჟორდანია 1886, 46).

აკადემიკონი პ. კეკელიძე მონაზონ ქალთა ლექსებში საეკლესიო ლიტერატურის წილ „საერო მხატვრული პოეზიის“ საზღვრების გაფართოებას ხედავს (კეკელიძე 1959). წარწერის შემსრულებელებს ბოკაჩოს გმირებს ადარებს შ. ონიანი და განმარტავს, რომ „ჰუმანიზმის განვითარება ევროპის სინამდვილეში ამაზე შორს არ წასულა“ (ონიანი 1959, 39). ეგევე მოსაზრება ასეა რეზიუმირებული „ჯავახეთის ეპიგრაფიკულ კორპუსში“: „როგორც ჩანს, XV–XVI საუკუნეებში ვანის ქვაბებში დედათა მონასტერიც იყო, სადაც მონაზონი ქალები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. მინაწერები და ლექსები ქალების მიერაა შესრულებული, რაც

იმას მოწმობს, რომ ისინი სწორედ ამ სართულებზე, მაღალ სართულებზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ..... წარწერები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაშია შესრულებული, მტერთა შემოსევებისა და თავდასხმების დროს, მაგრამ მათში ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური ვითარება არ ირეკლება, მონაზვნები მხოლოდ თავიანთი ინტიმითა და პირადული განცდებით არიან დაკავებულნი.... ყოველივე ეს იმას ადასტურებს, თუ როგორ არის შეცვლილი დამოკიდებულება ღმერთისადმი, რწმენისადმი, ცხოვრებისადმი, ადამიანი მატერიალურსაა გადევნებული და სულიერ ცხოვრებას მოკლებულია. ამ ლექსებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, თუ როგორ შეიცვალა რუსთაველის შემდეგ ადამიანის ინტერესები და ცხოვრება“ (სულავა 2012, 371). წარწერათა ამგვარმა ანალიზმა მეცნიერებს ავტორი ქალების ძალად შემონაზვნების ვერსიისაკენ უბიძგა და ისინი ფსევდო რელიგიური განცდის, სიცოცხლის ვნებას და წუთისოფლის წარმავალ სიამეს მიცემულ, გულისთქმათა მიმყოლ, „სულიერ ცხოვრებას მოკლებულ“ ადამიანებად აღაქმევინა. არადა, წარწერების შინაარსობრივი ანალიზი, ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით, სხვას მიანიშნებს;

ვანის ქვაბებში მამათა და დედათა მონასტრის (გნებავთ, განეოფილების) თანაარსებობის მიმართ სკუპსისი თავდაპირველად ვ. ცისკარიშვილმა გამოხატა, თუმცა, საკუთარი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხის გამოწვლილვა არ უცდია (ცისკარიშვილი 1959, 172). იგივე ითქმის ვანის ქვაბების არქეო-

ლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ გ. გაფრინდაშვილზე, რომელმაც წარერების შინაარსზე დაყრდნობით, ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ „Содержание этих надписей указывает, что здесь длительно скрывались женщины знатных феодальных домов“ (Гафриндашвили 1988, 47). უფრო გვიან, მეცნიერის ეს ვარაუდი განავითარა ი. ტალახაძემ. ზემორე ნახსენები, დარიბაისძის ისტორიული საბუთის, ის ფრაგმენტი, სადაც ამ ფეოდალური სახლის შვილი-ქალის შემონაზვნებაზეა საუბარი, მისი აზრით, მაინცადამაინც ვანის ქვაბებს არ გულისხმობს, დასაშვებია, აღკვეცა „სადმე სხვაგანაც“ მომხდარიყო, მაგრამ, მაინც, „შეწირულობის მესამედი აუცილებლად“ მის წილად უნდა მითვლოდა მონასტერს (ტალახაძე 2012, 104, 142). ვფიქრობთ, ტიპიკონის სათანადო ადგილის – „ვინაიცა განვაწესებ ამას, რაოთა ყოვლადყოვლითურთ უვალ იყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნუ რაის მიზეზისათვს ნუ შევალს მას შინა, თვით კელმწიფეთადსა; და ჩუენისა სახლისათა, უკეთუ საჭირო იყოს თანაწარუვალისა მიზეზისა და ყოველთა თანამდებისა ძლით; და მაშინცა მყის განეშორებ და ღამესა ნუმცა ვინ დაჲყოფს მას შინა ნუ ოდეს, რაოდენცა დაჲჭიროს. ნუცა ვისსა სენაკსა შევალს დედაკაცი, დედაიღა თუ იყოს მისი. ხოლო ამის მიზეზისა გარეშე სხვებრ, არცა ჩუენისა სახლისაგან ჯერ-არს შესვლა დედაკაცისად მონასტერსა შინა“ (ტალახაძე 2009, 201) – დამოწმებით მისი პოზიცია მართებულად მიგვაჩნია. მეტსაც ვიტყვით: მამათა მონასტრის განაწესი გაცილებით მკაცრია: „ნუცა დიაკონია 33“

ნი იზრდების მას შინა, გინა უწუერული ყრმად. ნუცამ-ცა ვინ იკადრებს თვისსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უპასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერებისა შინა, ნუ რომლისა მიზეზისა მოღებითა. ხოლო უკუეთუ ვინმე გლისპობდეს და შლიდეს წესსა მონასტრისასა და ჭელ ყოს განრყუნად მონასტრისა და გატეხად ტკპიკონისა და შემოიყვანოს ყრმად უპასაკოდ და ერთიცა ღამე დააყოფიოს, გარეშე ყოვლისა ხუაიშნისა მეყსეულად მითურთ განიდევნოს მონასტრით და მოიკვეთოს ვითარცა ასოდ დამპალი“. ზნეობითი მცნების ყველა გადამდეგის მსგავსად ტიპიკონის ამ წესის შემშლელს საშინელ სამსჯავროზე წარსდგომა ელის: „ხოლო უკუეთუ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან იმეცადინოს დაჭსნად კეთილსა ამას წესიურებასა და კანონსა ამის მონასტრისასა, ზეგარდმოითა რისხვითა დაჯწნას იგიცა ღმერმან განსახრწნელსა შინა ულხინებელსა და დაუსრულებელსა და დასტენებ მას ხუთ-ქალაქელთაებრ სოდომიანთა და წარმოაცარიელენ საქანელნი რისხვისანი მას ზედა, ამენ!“ (ტალახაძე 2009, 201-202).

სამწუხაროდ, ტიპიკონის ამ პუნქტების შეჯერება საქართველოში მოქმედი სხვა ტიპიკონების სათანადო მონაცემებთან, მათი უქონლობის გამო, არ გვიხერხდება. ამიტომ, შემოვიფარგლებით პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის მასალით;

გრიგოლ ბაკურიანის ძე დამდები პეტრიწონის წესგანგებისა ჩვენთვის საინტერესო საკითხს საგანგებო თავებს უძღვნის – პირველი, „{17} თავი მცნებად კრძა-

ლვისათვს საჭურისთაგან და მოყმეთა ჭაბუკთა,“ გვეუბნება: „ხოლო საჭურისთათვს, რომელნი ყუერულად სახელდებულ არიან, და უასაკოთათვს ჭაბუკთა არა ხოლო თუ ჩუენგან, არამედ პირველთაგანცა წმიდათა მამათა დახრწეულ არს დასაბამითგან ყოფად მათი მონასტერსა შინა, ვითარცა დასაბრკოლებელი საქმე.... და რათა უჯეროვნესად ვთქუა, მსგავსად წმიდათა მათ მამათა სკიტელთა, ვითარმედ: ნუ შემოიყვანებო აქა ყრმათა ჭაბუკთა... ამისთვს უკუ ვამცნებ განკანონებითა ყოველთა...საშინელისა განკანონებისა დათრგუნვითა“; შემდეგი: „{23} თავი რათა არა შევიდეს დედაკაცი ეკლესიასა ჩუენსა, არცა სადედოი მონასტერი აღეშენოს ოდესცა საზღვართა შინა მისთა - „არა მნებავს უკუ რაითურო შესვლად დედაკაცისად ეკლესიასა ჩემსა, გინა მონასტერსა, რათაცა მიზეზითა, არცა ცოლოსნისა კაცისა დამპკლრებად საზღუართა მისთა, გინა თუ მოყმისა ვისიმე უწუერულისად, რათა არა სადა დასაბრკოლებელ იქნას, არამედ კიდე ხოლო სოფელსა და აგარაკთა იყვნენ. დავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოსა მონასტრისა საზღვართა შინა მონასტრისათა, და ნუმცა იქნების ესე ოდესმე მიზეზითა იოვანეს დედისა და ეფრემის დისამთა; უფროდსდა მათისა ჯერ-არს სხუაგან მიცვალებად მიერ. რამეთუ დაუთრგუნვებლად ყოვლითურო დედათაგან განვაწესეთ ყოფად ადგილი ესე, ვითარ ესე მებრ სიცოცხლისავე შინა ჩუენსა განვაგეთ, რომელ ოდენ დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა მოვი-

დოდიან ლოცვად და დაპყოფდიან ვიდრე უამის-წირვის უამამდე და მყის ხოლო მსწრაფლ განვიდოდიან მიერ. და ამისა ჯერისათვის ვაფუცებ განკანონებით, რაოთა სხუასა არა რომელსა შინა უამსა იქმნას ესე“ (დოლიძე, 1970, 74; 85; ციტატი მოტანილია აბზაცების დაუცველად, გ.კ.). ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია, მამათა მონასტერში დედათა განყოფილების ფუნქციონირება იკრძალება კანონიკით განმტკიცებული სამონასტრო წეს-განგებულობის ძალით.

ჩვენი მონასტრის პატარა ეკლესიის „წარწერების გულდასმითი ანალიზიც“ იმას ადასტურებს, რომ საქმე ძალად შემონაზვნებულთა პოეზიას კი არა „რუსთველურ, ამამაღლებელ“ სიყვარულს ეხება, როგორც ამას მიიჩნევს ი. ტალახაძე, ხოლო, ქვაბებში შეხიზნული შეყვარებული ქალბატონები „მაღალი და პატივსადები“ მიზეზით დაუტოვებიათ მიჯნურთ – ბრძოლის, ომის მიზეზით. სხვა რომ არ იყოს, იმ პერიოდში, „ან შემდეგ მონასტერს რომ ეფუქციონირა, ვეჭვობთ, ამ წარწერებს ჩვენამდე მოედწია“ - აჯამებს მკვლევარი თავის ნაფიქრს (ტალახაძე 2012, 144).

ვიზიარებთ რა ამ მოსაზრებას, ჩვენის მხრივ, საარგუმენტაციოდ ერთმანეთს შევუწინით მონასტრის ტიპიკონის ორ მინაწერს, უკეთ, მათში დოკუმენტების დამოწმების წესს: პირველი - შეწირულობის აქტი მურვან დარიბასძისა, შედგენილი 1393 წელს, დაწერილი „მეუფებას გიორგისსათვის, დეკანოზობასა იოსებისსა, მნათეობასა ანანიასა, იკონომოსობას იორდანელსა, კანდელაკობასა გიორგისსა, მეეკვტრებასა ანტონესა,

ხელითა ყოველთა კაცთა უცოდვილესისასა მათე ამ-ირბეგისაითა“. მეორე - დაწერილი გოგინა და ბატატა უღულაშვილებისა ბასილი კანდელაკიშვილისადმი ყანის მიყიდვის თაობაზე: „ქ. მოგეც მე უღულაშვილმა გოგინამან და ბატატამა შენა კანდელაკიშვილსა ბასილსა და შენთა ძმათა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ჯალაბადინის ტბასა ყორიანი ყანა, ხუთისა დღისა, ნასყიდობითა. ავიდე ფასი, რაც შუათა დაფასებული იყო. ბაშიაი ლამბრას ძმა და მარკოზი. შუანიც ისინი არიან და დამფასებულიც. არა დარჩომიარა ჩვენი; სრული ფასი აგვიღიან, ღმერთმან მშვიდობაში მოგაწმაროს საუკუნოთ. ვინცა კაცმან დღეის იქით პირატე გიდოს, ან ჩვენი გვარის კაცი შემოგეცილოს – კრულ იყოს და შეჩვენებული ღმრთისა და პატიოსნისა მაცხოვრისა ხატისა პირითა. უღულასა შეუნდნეს ღმერთმან. ამისი მწერალი. ხიმშიაშვილმა დაყუდებულმა დაგწერე, მით ცოდვილსა შენდობა მიბრძანეთ; ღმერთმა მშვიდობაში გაწმაროს“ (მუსხელიშვილი 1939, 58-59).

პირველი დოკუმენტში მოხსენიებულნი არიან ვანის ქვაბთა მონასტერში მოდვაწე სასულიერო პირები მამოწმებლად მასში განსაზღვრული პირობის და გარანტად მისი იურიდიული ძალის, თანახმად ძველ საქართველოში საბუთის დამოწმების ზოგადი პრინციპის დაწესის. აქედან გამოდის დასკვნა – XIV საუკუნის ბოლოსათვის ვანის ქვაბებში მამათა მონასტერი ფუნქციონირებს, მემდვიმეთ „წირვა-ლოცვის ჯერისაებრ აღვლენისათვის დეკანოზიც ჰყავთ, მნათეც, კანდელაკიც,

მეექვტრეც და სხვანი“, სამონასტრო ცხოვრების წარმმართველ-აღმსრულებელი (ტალახაძე 2009, 101).

მეორე მინაწერი წარმოადგენს ნასყიდობის დაწერილს, მართალია, იგი ვანის ქვაბთა მონასტერს უშუალოდ არ ეხება, მაგრამ სიგელის გაფორმებისათვის, ტრადიციულად, მაინც მისთვის მიუმართავთ „მეტი სიმტკიცისა და შეუვალობისათვის“. ამ შემთხვევაში დაწერილის მოწამენი არიან: „ბაშიაი ლამბრას მმა და მარკოზი“ – შემფასებელი და მომრიგებელი შუაკაცები და ხიმშიაშვილი – ვანის ქვაბში მოსაქმე ერთადერთი დაყუდებული ბერი. აშკარაა, მინაწერის შესრულების დროისათვის (XV საუკუნე) მონასტერი უკვე დაობლებულია, აქ არც მმათა კრებული ჩანს, არც სასულიერო პირები, ერთი დაყუდებული ბერიდა შერჩენია გაუკაცრიელებულ სავანეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, გავიმეორებთ ერთხელაც, დაწერილის, სიმტკიცის ნიშან-პირობად, მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა ხელრთვითაც გაამყარებდნენ, როგორც ამას მოითხოვდა ნორმა ამდაგვარ საბუთების დამოწმებისა.

ც. აბულაძის მიერ გამოქვეყნებული ოსმალური საბუთები საგარეო-პოლიტიკური გართულებების ფონზე საათაბაგო სახლის შინა სახელისუფლებო დაპირისპირებას ადასტურებ სXVI საუკუნის პირველ ათეულ წლებში, რაც, ცხადია, აზარალებდა მხარის კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებას, მისი ყველა სფერო მოშლა-გადაგვარებისაკენ მიექანებოდა, რაც სოციალურ-ეკონომიკური პროცესებსაც სახეს უცვლიდა. ხოლო, ქვეყნის ცხოვრების მომსრველ-წარმწედი ამ პოცესე-

ბის გავლენით მოიშალა რელიგიურ-ლიტურგიკული მსახურება ვანის ქვაბებში და იგი თავდაცვით ობიექტად იქცა, ცხადია, საამისოდ სწორედაც საუკეთესო გარემო-ფაქტორების გამოისობით. ერთი დოკუმენტის („F 134, სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი, ფექტების ფონდი“) მიხედვით „თმოგვის ციხე კი საკმაოდ ცნობილი და მიუვალი ციხეა საქართველოსი. მის ზემო მხარეს, თმოგვის წყალზე განიერი სიმაგრეა. წინათ, სულთან სელიმ-ხანის დროს, როცა ყიზილ აქმედ ოღლი მირზა ბეგმა საქართველო დალაშქრა, ყვარყვარეს (იგულისხმება ათაბაგი ყვარყვარე III, ნავ ყვარყვარე, გ.პ.) სიმამრი, უსჯულო, სახელად სურხანი (შალიკაშვილი, რომლის ქალი ანნა ცოლად ჰყოლია ყვარყვარე III, გ.პ) თავისი ხალხითა და ოჯახით იმ გამოქვაბულში იყო. ქურცინას ხალხი და ოჯახის წევრებიც მასთან იყვნენ. მირზა ბეგმა რამდენიმე აზნაური შეიძყრო. ისინი იქიდან გამოიყვანა. ქურცინას მაღალ სამეფო კარზე წასვლის მიზეზი იმ გამოქვაბულიდან მისი ხალხისა და ოჯახის წევრების გამოყვანა და მისთვის შეუტყობინებლად მათი მაღალ სამეფო კარზე გაგზავნა იყო. მოგვიანებით თავადაც წავიდა თავის შვილებთან ერთად“ (აბულაძე 1983, 55). საბუთის გამომცემელი აქ მოხსენიებულ გამოქვაბულთან დაკავშირებით, სადაც მესხი დიდებულის, ვინმე ქურცინას (შესაძლოა, ხურცისძე, ან ხუცისძე; მეტრეველი 1975, 195), სახლობა ყოფილა შეფარებული სხვა აზნაურებთან ერთად, შენიშვნებში აღნიშნავს: „იგულისხმება ვარძიის მიდამოებში მდებარე სახიზარი ქვაბ-სენაკები, ძირითადად მაინც, ალბათ, ვანის ქვაბები“

(აბულაძე 1983, 68)<sup>4</sup>. სხვაგანაც, მემატიანის ცნობით, „ხოლო მოვიდეს ოსმალნი ურიცხუნი ბასიანს,... და იპყრეს ოსმალთა სამცხე-საათაბაგო, და აღიდეს ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი სამცხისანი,... მძლავრობდენ ფრიად ყოვლისავე მესხთა ზედა... მაშინ ოთარ შალიკაშვილმან და ათაბაგმან და ყოველთავე მესხთა წარავლინეს მოციქული თვთმპყრობელის ერანის მპყრობელის შაპ-თამაზის თანა... ითხოვეს მისგან შეწევნა... ხოლო ვითარცა ესმა შაპ-თამაზს, განიხარა ფრიად და წარმოემართა სპითა ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა; მოესწრა ყაენი შაპ-თამაზ. ბატონი ქაიხოსრო მოვიდა; ვარძია, თმოგვ, და ვანის ქუაბი, და აწყური, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად აღიღო, და ვარძიის ლვთისმშობელი და სრულიად ციხეები ბატონს ქაიხოსროს მისცა“ (ახალი ქართლის... 1957, 500). ირანის მპყრობელ შაპ-თამაზის შემოსევისას (1551 წელი), წაყროს ჩვენებით, ვანის ქვაბი მესხეთის სიმაგრეებს შორის იხსენიება, გამოდის, უკვე ციხე-სახიზნოდ ქცეული; ასეთივე ვითარება დასტურდება შალიკაშვილთა მეთავეობით ათაბაგ-ჯაყელთა სამთავრო სახლის წინააღმდეგდაუნდობელი ბრძოლისას (1576 წ.): „დაგარდა ქმად; დაიწყო ჩნდა ლაშქარმა მოდენა... მივედით ზედათმოგუს... და ორშაბათს ვანის-ქუაბს მივადეგით და

<sup>4</sup> საბუთში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია ამჯერად არ შეადგენს ჩვენს მიზანს, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ც. აბულაძის მიხედვით საბუთის ყვარყვარე III-ს (1516-1535) ცოლად ჰყოლია სურხან შალიკაშვილის ასული ანა, ხოლო ქურცინა (ქუცნა, იგივე) ამ უკანასკნელის ძმა უნდა ყოფილიყო (აბულაძე, 1983, 41-43).

ოთხშაბათს იერიშით ავიდეთ...“ (შარაშენიძე 1961, 44); ეჭვი არაა, რომ ამ დროს ვანის ქვაბებში, მისი მიუვალობის გათვალისწინებით, საფარ-სახიზარია გამართული და არა მონასტერი, მით უმეტეს, ქალთა. ვფიქრობთ, მოტანილი ცნობები საკითხს განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენს, გვაჯერებს, რომ: ვანის ქვაბებში სამონასტრო ცხოვრება მეოთხეობის საუკუნის ბოლოსათვის, მაინც, უნდა მოშლილიყო, ხოლო XVI საუკუნის მთელს სიგრძეზე მისი სახიზნო-თავდაცვითი დანიშნულება, როგორც ვნახეთ, ფაქტობრივ დასტურდება.

ახლა კი ვნახოთ რას გვეუბნებიან კედლის წარწერები; 1501 წლით ათარიდებს ნ. სულავა ანა რჩეულაშვილის (რჩეულაძე) ერთ წარწერას „ქ. უხრწელო ღმრთობისა ხატო შემიბრალესულ საუკუნოსა დამდეგა ოცი ოთხშაფათი, პარასკევი მარხვა შემომიწირავს. სადამდი ცოცხალი ვარ, პურისა თავთავი პელთ მაქუს შენისა წყალობითა, დამიწერია მე რჩეულაძესა ანასა. სხუა არასა ღირს ვიყავ შემეწირა მასავე თვისავე მიგაჭირვე მარხულმა. ორმოც-ორმოც მუკლსა მოგადებ. შეიწირე ღმრთობისა ხატო, თუ რამე მეშუელებისა რაცა შემიწირავს ისრე გაუთავებ ამა მარხვას გარეთა“ (ცისკარიშვილი 1954, 175); სხვაგან, „შავი“ ბედის ქალბატონი ვაებს სოფლად გაუხარლობას – „ვერ დავალ, ვერცა გავიხარე სმით, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა ძმითა, ვერცა დითა, ვერცა სძლითა“ – აშკარაა, მონაზონისოვის შეუფერებელი ტექსტით; აკი უჭირთ კიდეც, მეცნიერებს განსაზღვრა, „რა სტატუსით იმყო-

ფეხოდა იგი მონასტერში“, მითუმეტეს, რომ „დრმად მორწმუნე ყოფილა და ლიტურგიულ წესებს იცავდა. თან იმედოვნებდა, რომ მარხვისა და სხვა ლიტურგიული წესების აღსრულების შედეგად, იქნებ, საშველი დასდგომოდა. რას გულისხმობს ანა სიტყვებში „თუ რამე მეშველებისა“, ძნელი სავარაუდებელია“ (სულავა 2012, 379). ყოველი გაუგებრობა თუ ორჭოფობა მოიხსება დაშვებით იმისა, რომ ვანის ქვაბები ამ დროისთვის უკვე მხოლოდ ციხე-საფარიდა და ანაც, ვანის ქვაბების ერთ-ერთ მეპატრონეთა სახლის შვილი, აქ შიშიანობას გამორიდებია.

ორ წარწერას აკუთვნებენ გულქანს, განსწავლულ, საუცხოო მხატვარ-კალიგრაფისტ მანდილოსანს შალი-კაშვილთა გვარიდან. შ. ონიანის თქმით, მისი ნახატები „საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის საერო ხასიათისაა და გადმოგვცემს გულქანის სულიერ მდგომარეობას. მისი სახით საქმე გვაქვს XV საუკუნის ერთ-ერთ საყურადღებო საერო მინიატურასთან, რომელიც პოეტურობას მატებს გულქანის ისედაც პოეტურ წარწერას“ (ონიანი 1966, 34). ხოლო ერთი მისი ხელნაწერი რამდენიმე ბიოგრაფიულ დეტალს გვიცხადებს ნიჭიერი ავტორის ცხოვრებისა: „ქლერთო და ყუალა წმინდაო დედოფალო დვთისმშობელო და რანიც წმინდანი მთავარანგელოზნი სუანებისართ! თქუენს ძალასა და მოწყალებას, უშველეთ და ულხინეთ მოსამსახურეს, მიწასა თქუენს, თუალპატიოსანს, უებროს გულქანს. ვიყავ დეგნილი, რომ მომიყვანა მანუჩარ ქალად და გასათხოვრად. ქმარი ჯერ არ მედგა. დვთის მადლმა და ამა

წმინდათა მადლმა, ჩემსა ულამაზესი სულიერის დედასმიწაზედ არა იარებოდა და არც სხუა გამოსულა, არც თუალად, არც ტანად, არც ზნით, არც გონებით; თუარემ ჩემი მნახავნი არ გამამტყუვნებენ. ესე ხაზანნი არიან ამის მოწამენი და ეს ლომი“ (ონიანი 1960, 34). ხაზანი, აკაკი შანიძის განმარტებით, ფაზანი, იგივე, ხოხობია; ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ აქ ხიზანნი, უნდა იყოს, როგორც ამას 6. ბერძენიშვილი კითხულობდა (ბერძენიშვილი 1961, 121), ქვაბებს შეხიზნულ მანდილოსანთა კრებულის აღსანიშნავად. გარკვეულია, რომ ეს გულქან შალიკაშვილი არის ასული ქართლის მეფე გიორგი VIII-სა (1446-1466 წწ.; კახეთში გიორგი I-1466-1476 წწ.) და თამარ ყვარყვარე II ათაბაგის (1451-1498 წწ.) ასულის ქეთეონის, რომელიც შალიკაშვილთა სძალი ყოფილა, მეუღლე გახუშტი-ყოფილ ვასილიოსის (შარაშიძე 1954, 206-210).

ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპში იკითხება: „[თუ] ესა სეკდემბერსა იდ] მოვიდა ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი, მოიტანა საქონელი მისიცა და პატრონისა მისისაცა ქეთონე-ყოფილისაც ქრისტინესი და გულქანისი. მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაც წაგუართულს და მან დაიცნა: ოთხასი ფლური გამოიდო. დიდი საქმე ქნა. და ერთი კანდელი გოლგოთას და ერთი ჯუარს დაუკიდეთ სამუდამო. ვინ მოშალოს, ღმერთმან მისი სული მოშალოს სასუფეველისაგან. პატრონსა ქრისტინეს შეუნდვნეს ღმერთმან, მისთაც შვილთაც იოთამს და გულქანს შნაც ღმერთმან. ზოსიმე კუმურდოელსაც და მისთა მიცვალებულთა ყოველთაცე შეუნდვნეს ღმერთმან. მისეც ხუცესსა იოსებს შეუნდვნეს ღმერ-

თმან“ (მეტრეველი 1961, 81). ეს კუმურდოელი ზოსიმე ნუასძე „ცნობილი პირია“, მისი 1519-1528 წწ. (სილოგავა 1994, 95) დათარიღებული ერთგულების წიგნის მიხედვით „ბასილი ყოვლისა საქართველოსა პატრიარქ კათალიკოსისადმი“ XVI საუკუნის 10-30-იანი წლების მოღვაწე, რომელიც იერუსალიმს ე. მეტრეველის ვარაუდით 1514 წლის ახლო ხანებში უნდა სწვეოდა. ქათეონ-ქრისტინეს გარდაცვალება „1514 წლის მიწურულში ან 1515 წლის ივნისის ხუთამდის“ ივარაუდება (შარაშიძე 1954, 215), მისი შვილი იოთამი კი 1516 წლის ახლოს შედგენილ სამცხეს „მცხეთის ეკლესიის“ თავადთა ნუსხის მიხედვით ცოცხალია და მმა ელისბაალთან ერთად თმოგველის მამულს ფლობს „სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (შარაშიძე 1962, 34). არაა ცნობილი როდის, რა ვითარებაში დაიღუპნენ იოთამი ან გულქანი, მაგრამ ზოსიმე კუმურდოელის გარდაცვალების დროისათვის ისინიც შესვენებულები არიან. ცხადი ისაა, რომ იოთამი თმოგველის მამულს ფლობს „სასაფლაოთა და მონასტერით“, რომელიც, უჭვმიუდგომლად, ვანის ქვაბებია, სადაც პატარა ეკლესიის კედელზე, იოთამის, ვითომცდა, „მონაზონი“ და გულქანი გულმწუხად მიაწერს „ვიყავ დევნილი“-ო; საადაპე ჩანაწერი ამ „თუალპატიოსანი, უებრო“ მანდილოსნის მხოლოდდა საერო პირსახელს გვიმხელს – გულქანი, არას ამბობს მისი აღკვეცილობის სახელზე, რაც, აშკარაა, მისი შემონაზვნების ვერსიას უჭვის ქვეშ აყენებს; ან კიდევ, რას უნდა გულისხმობდეს გულქანის „დევნილობა“ სხვას, თუ

არ გარე თუ შინა აშლილობა-მიხდომით გამოწვეული უნებლიერ ხიზნობას?

გულქანის სხვა წარწერა-ლექსი – „ქ. ღმერთის მშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ, უშურველი//შენ ადკოცე ცოდვა ჩემი, უმრავლესი, უთვალველი//მე სამოელ ტანჯვათ მაწვევს უშიში და უკრძალველი//მწეო ჩემო, შენ მიშველე, გამოქსნასა შენგან ველი...“ (ონიანი, 1959, 36), არაფრით მიუთითებს „ინტიმითა და პირადული განცდებით“ მის გატაცებას თუნდაც სქემაშემოსიც არ ყოფილიყო; აქ მხოლოდ წუხილი სჭივის გარე მოვლენებისა გამო და მისგან „გამოხნის“ ვედრება ღვთისმშობლის მიმართ, რომელიც შემწედ და ხელისამპყრობელად მიაჩნია ცხოვრება მოწყურებულ ახალგაზრდა მანდილოსანს.

XVI საუკუნის პირველ ნახევარს მიაწერენ მკვლევარები ვინმე თუმიან გოჯიშვილის ლექსებს: ერთი ადადგომა დღეს მიუწერია ეპლესის კედელზე „მონაზონ“ ქალს: „ქ. წვრილად ნახვეწო ისარო ქალაქს ნადგბო ინითა//ყირმიზი რკალის პერანგი გაცვია ოქროს ლილითა//ნეტავი შენთან მამყოფა, შენთან გამაძღვილითა, //მაგ შევარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგებილითა“. მეორეგან „ბატონი თუმია“ წერს: „მაცხოვრის ხატმა კაი ბედი მოგცეს, ნუ დამივიწყებ. წ, მზეო შენსა გაყრილსა დამვიწყდა სოფლის ლხინი მე //ვით მმართებს, ეგრე გავსრულვარ, სისხლის ცრემლითა ვტირი მე, //ნეტარ დირს ვარმცა, მენახოს შენი ლამაზი პირი მუ//ნუ დამივიწყებ, დონეო, შენის თვალისა ჭირიმე“. აქაც -„ნეტარ დირს ვარმცა მენახოს...“-ო,

შექრის სურვილითა და იმედით გამსჭვალული ნანდა-  
ურია ამოუთქმული, ჩვენთვის აშკარად მანიშნებელი  
მიჯნურთა „გაყრილობის“ მიზეზსა და ამ გაყრილობის  
ძალდატანებით და დროებით ხასიათზე. სხვაგან იმავ  
თუმიანს სტრიქონის საწყისად სტილიზებული ლომი,  
შ. ონიანის ხედვით, სიმბოლურად საკუთარი სატრფო,  
გამოუსახავს და წაუწერია: „ლომო განაღამც მიყვარ-  
ხარ შენებრ ვერავის სადარად// წყალად ევფრატად  
გიტყვიან, გულად – როსტომის სადარად; //ტანი აზ-  
ატსა საროსა ნარნარად აყვავებულსა;///მე გული ხე-  
ლთა არა მაქვს, თუ არ შენ გახლავს სადარად. ვაიმე  
იმედო თუმიანს დამიწერია“; და იქვე„ქ. მზეო გიშვენის  
წალკოტი ხილითა და ხევნარითა, //უწყალოდ მოკლავ  
მიჯნურსა და გულსა დახევ ნარითა“.

ერთგან „შატელიშვილისა ბერიქელ ქალიშვილსა  
ხვარამზეს“ გულმტკივნეულს წაუწერია „...ესე წიგნი  
ვინც შემიბრალებთ მე და გოზალადას, ჩემსა და იმის  
გამყრელობას; ესეც უნდოდა ვაიმე თუ ერთმანეთსა  
სიკვდილის თუ სულთ ამოსვლის დროს არა დავხუ-  
დეთ, შეგვიბრალეთ“ (ონიანი 1959). ამ და სხვა დანარ-  
ჩენი წარწერის შინაარსის ჯეროვანი გაანალიზება  
გვიჩვენებს ერთს – ავტორები ან საერო პირნი არიან,  
ან „ზენაარისა ფიცის“ გამტეხნი, ცოდვილნი და მკრე-  
ხელნი. ძალად აღკვეცა ზეპურ დედათა, თანაც, ასე  
მასიურად? რა უნდა მოემოქმედა გულქანს, თმოგვის  
მფლობელი შალიკაშვილების სახლის უმშვენიერეს  
ასულს, ბიძის, ათაბაგ მანუჩარ I (1475-1487 წწ.) მიერ  
საგანგებოდ „ქალად და გასათხოვარად“ მოყვანილს,  
ისეთი, მის სულიერ და გონიო ნებაზე ასე ეძალადათ,

ან სხვას, ნებისმიერს (გულქანის სახლიშვილობის შესახებ იხ. ქვემოთ). დავაკვირდეთ: ჩვენს ბანოვან ავტორებს მწედ და მშეელელად უფალი ეგულებათ, მის ცვასა და ფარგას შეფარებულან, რაც მაღალი სულიერების, სარწმუნოებაში სიმტკიცის ნიშანია, სათანადო აღზრდითა და განათლებით გამშვენებული. ლექს-წარწერებში გაცხადებული ნება სიცოცხლის, პირმტკიცობა, საქალ-ვაჟო რუსთველური, ამამაღლებელი სიყვარულისადმი სწრაფვა, სულდგმა მისით და არა უგვანი „ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“, ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ეჭველი და თვალსანახავია პედელზე მიწერილი შოთას შაირით: „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა თვალნი ძლივ შემოწვდებიან, //გზა გვირაბითა შემოვალნ მცველნი მაზედა დგებიან //მაშიგან ორნი გუშაგნი ნაბადსა არ დასცდებიან// მათსა შებმელსა დახოცვენ ცეცხლურებ მოედებიან, //ჩემო ნუ მოხვალჩემზედა სახით მებრძოლთა წესითა, //ნუცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა...“ (ბერძენიშვილი 1964, 122). ამიტომაც მათი ეს გოდება-სამდურავი, მიჯნურთან დაშორების და „ეზომ მაღალ ციხეში“ გამოკეტვის გამო, გასაგებიცაა და თანაგრძნობის ღირსიც;

მოკლედ, შეჯამებისათვის; ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „Изредка, в это позднее время, монашеская жизнь преривалась из-за междуусобных войн и нашествий врагов и Ванис-кваби в эти периоды превращался в укрепленный объект и убежище“ (Гафриндашвили 1988, 47) „ქართული მწერლობისა და ფოლკლორის მცოდნება, პოეტური ნიჭით ცხებული“ ქალბატონები საიმედო სი-

მაგრეს არიან შეფარებულნი, სწუხან, დიდი ალბათობით, ბრძოლაში შესულ გულისხმორთა თუ ოჯახის წევრთა გამო; ვაითუ სულთ ამოსვლისას ერთად არ ვიყვნეთო, „მე მოლოდინსა მოუკლავ, შენს ეგრე დაყოვნებასა..“-ო, პგოდებენ, უფალს ავედრებენ მათს სიცოცხლეს (ტალახაძე, 2012, 144); მათი „საშველიც“ აქ არის, ღვთის სასოთი გასხივებულ სიყვარულში.

XV–XVI საუკუნეებისათვის სიმაგრედ ქცეული ქვაბების კომპლექსი უკვე აღარ წარმოადგენდა საღმრთოლიტურგიკულ კერას. რაც შეეხება ვანის ქვაბების მცირე ეკლესიის პოზიას, დაბეჯითებით ვიტყვით, იგი სიყვარულის რუსთველური გაგებიდან ამოდის, მისი ამამაღლებელი ტრადიციიდან და მის გაგრძელებას წარმოადგენს. რუსთველის შემდეგ „ადამიანის ინტერესები და ცხოვრება“, უნდა შეცვლილიყო და შეიცვალა კიდეც, მაგრამ არა ისე როგორც ნ. სულავას გაუაზრებია. ადამიანი, თავისთვად, შუქჩრდილოვანი არსება, ნაყოფი სრულიად განსაზღვრული კულტურული წრის, მისი ძუძუთი ნაკვები და მასშივ მოსაქმე, მოქმედად და მზრდელად „ახალ“ კულტურისა, ძველის შემოქმედებით-ნოვატორულ გაგრძელებას რომ წარმოადგენს. რუსთველის გმირი-ქალები, ყველაფერ ადამიანურით სავსენი და თავის-უფალ-ნი, სათავისუფლო ნების მავლენ-მამკვიდრებელნი ცხოვრების ტრაგიკული მომენტების წინაშე და მით მიწყივ ოპტიმისტი, ჩვენი „მონაზონი“ ქალბატონების კულტურულ-ისტორიულ „მშობლებად“ გვალინებიან, ხოლო, ეს უკანასკნელნი კი, სიყვარულის რუსთველური კულტურის ჭეშმარიტნი შვილნი, ამ კულტურის ნოვატორ მოსაქმეებად, ნებ-

ტან-დარეჯან-თინათინის „გვარად საქმის მოდგმა“-დ,  
მათს სულიერ მემკვიდრეებად.

## სახელულო

ორიოდ სიტყვით მონასტრის წეს-განგების ერთი,  
ძალზედ საგულისხმო მუხლის შესახებ: „საჯმარ არს  
რამთა ყოვლად განკრძალული ერთი და ღვთის მოში-  
ში მონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდის დაუძლურ  
მყოფთა ძმათა პმსახურებდეს ყოველსავე საჯმარსა  
მათსა: დღითი-დღე სამგზის მოჰვლიდეს და მოიხილვი-  
დეს და საწესოსა მიართუმიდეს მათსა ტრაპეზით. და  
სხუად რაცა უკმდეს სნეულთა და უძლურად მყოფთა  
ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით და ნუმცა-  
რად მოაკლდების საჭიროდ საჯმართაგანი, რომელიცა  
იყოს და იპოებოდეს.“ საუბარია მონასტრის ბერის  
მესნეულედ განჩინებაზე, რომელსაც ღვთის საონო  
ბუნებასთან ერთად, ცხადია, სნეულთა მოვლა-პატრო-  
ნობისათვის აუცილებელი მინიმალურ იცოდნა და უნა-  
რი უნდა ჰქონოდა; „მესნეულე“, საფიქრებელია, სნეუ-  
ლებათა „მეცნავი“და მკურნალობაში გაწაფული პირი  
იქნებოდა, რომელსაც სპეციალური განსწავლა და  
წვრთნა უნდა გაევლო. სასნეულოზე, ანუ სნეულთათ-  
ვის განკუთვნილ სპეციფიკურ ნაგებობზე ტიპიკონში  
არაფერია თქმული, მაგრამ ა. ფირფილაშვილის აზ-  
რით, „ტიპიკონის ავტორი „სასნეულოს“ არსებობას  
გულისხმობს და ტექსტში მისმოსხენიებას საჭიროდ  
არ მიიჩნევს. წინააღმდეგ შემთხვევაში... ვაჲანის მონას-

ტერში „მესნეულის“-მკურნალის თანამდებობის არსებობას და იქ სნეულთა თავმოყრას აზრი არ ექნებოდა“ (ფირფილაშვილი 1997, 108). მხოლოდ ეს არგუმენტი, ვფიქრობთ, მთლად სარწმუნოდ არ გამოიყურება, რადგან ტიპიკონის მოხმობილ მუხლი მხოლოდ „უძლურ მყოფთა მმათა“ შესახებ საუბრობს და მათდამი, შეიძლება ვთქვათ, მინიმალურ ყურადღებას გულისხმობს, მაგრამ, საქმე ისაა, რომ მეცნიერის მიერ მოხმობილი და გაანალიზებული ფაქტობრივი მასალა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორიის მიერ ვანის ქვაბებში გამოვლენილი ადამიანის ძვლოვანი ნიმუშების შესწავლის შედეგებს ემყარება, მონასტერში, უდავოდ, „სასნეულოს“ არსებობას მიანიშნებს. ვეცდებით, მეცნიერის დასკვნები, რამდენიმე პუნქტად, ერთგვარად რეზიუმირებული სახით, წარმოვადგინოთ: 1. ვანის ქვაბების მაკრო და მიკრო კლიმატი ადამიანის სიცოცხლის, სრულფასოვანი საქმიანობისათვის ოპტიმალურ გარემოს წარმოადგენდა. 2. ძვლოვანი მასალის ტრამვატოლოგიური ანალიზით დგინდება: ცალკეული ტრამვული დაზიანებისათვის სათანადო სამკურნალო მეთოდების არსებობა; კვებისა და გაკაჟების შესაფერისი რეჟიმის გამოყენება; 3. „სასნეულოში“ არსებულა თერაპიული, ტრამვულ-ქირურგიული და უროლოგიური, შეიძლება ვთქვათ, განყოფილებები; და ბოლოს 4. „მონასტერს ჰყოლია მაღალკვალიფიციური უქიმი, რომელსაც, ასევე, სცოდნია ტრამვულ ავადმყოფთა მკურნალობაც“ (ფირფილაშვილი 1997). ყოველივე ეს, ცხადია, გულის-

ხმობს სათანადო სამკურნალწამლო მეთოდიკას, პრე-პარატებს, სამედიცინო ხელსაწყო-ისტრუმენტებს და სხვ., რასაც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა ჯე-როვნად წარმოაჩენს კიდევ.

## **მონახულის მფლობელ-მეპატრონენი უფიძეონის მინაწერი ხაბუთების მიხედვით**

ვაჲანის ქვაბები, გურგენისძეთა წარჩინებული სახლის „სამკვიდრებელი“ (საძვალე) და „მამული“-რეზი-დენცია, წუნდა-თმოგვის „ქვეყნის“ შემავალია. მართალია, ისინი ამ მხარის მამულობით მფლობელები არიან, მაგრამ თმოგვის ციხე მათ საპატრონოში არ შედის. იჩქით გურგენისძის აღმშენებლობითი საქმიანობის ხანაში 1190-1191 წლიდან თმოგვი და მისი მიმდგომი მამულობით პბოქებია სარგის ვარამის ძე მხარგრძელს, რამაც განაპირობა მხარგრძელთა ახალი შტოგვარის წარმოქმნა – ისტორიის სარბულზე გააქტიურდა თმოგველთა სახლი<sup>5</sup>. ვანის ქვაბები, იჩქითის შე

---

<sup>5</sup>თმოგველი გვარ-სახელის პირველი მატარებელი არის ფარს-მანი, ჭიმჭიმელთა სახლის შვილი, თმოგვის მამულობით მფლობელი და ჯავახეთის ერისთავე-ერისთავად განჩინებული. იგი არფ-ასლანის შემოსევას შეეწირა ახალქალაქის ბრძოლაში, როგორც ჩანს უშვილ-ძირო და თმოგველთა ეს სახლი მოიშალა. ციხე მიმდგომითურთ სამეფო საკუთრებაში გადავიდა და მოხელე

მონაზვნების შემდეგ სამეფო საკუთრებაში ჩარიცხული, სარგისისავე სიცოცხლეში ამ „ახალ“ თმოგველთა სახლის ხელში გადადის. სარგისის მემკვიდრე მხარგრძელ თმოგველი (თავდაპირველი გვარწოდებულობა მონადევარ შტო-გვარში სახელად გაფორმდა, რისი მაგალითებიც ბევრია ჩვენს ისტორიაში) ქაბებს საგვარეულო მონასტრად და საძვალუაკლდამად აქცევს. მხარგრძელმა სამონასტრო კომპლექსის გაფართოება-რესტავრირებას მიჰყო ხელი, რაც მთავარია, გაზრდილ, გაღონიერებულ, იმდროისთვის საკმაოდ რიცხოვან (51 მემონასტრე და 10 მსახური)<sup>6</sup> და გამშვერისთაგან გადაეცა სამფლობელოდ, გიორგი II დროიდან ჯერ ქვაბულისძებს, ნიანიას, შესაძლოა, ჯავახეთის ან მისი ერთი ნაწილის ერისთავის სტატუსით (ბერძნიშვილი 1985, 220), შემდეგ მის ძეს კახაბერს, რომელიც 1089 წლის მიწისძვრის დროს თმოგვის დაქცევისას დაიღუპა. ამისი შვილი ნიანია დავით აღმაშენებლის გვერდით ჩანს და, სავარაუდოდ, თმოგვს იმავე სტატუსით ფლობს. ამის შემდეგ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ცნობით ვიგებთ, რომ „აზნაურისა ყმობისაგან ღმრთისმობადაობითა კაც-ქმნილი“ აფრიდონი 1178 წლისათვის მსახურთუხუცესად დადგინბებული, „თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის“ აღზევებული (ყაუხესიშვილი, 1957, 30); მისი დამხობას თამარის მეფობის დასაწყისში ამირსპასალარ გამრეკელ თორელისათვის თმოგვის გადაცემა მოჰყოლია. მისი გარდაცვალების შემდეგ „თმოგვსაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა... და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგა“ (ყაუხესიშვილი 1959, 55).

<sup>6</sup> ამაზე დ. ბერძნიშვილი წერს: „ასევე 50 მონაზონი და ერთი წინამდგრარი იყო პეტრიწონის მონასტერშიაც. ასეთი დამთხვევა ეგების არ იყო შემთხვევითი: ძველ აღქმასა და სახარებაში 50 (ერგასი) ერთ-ერთი საკრალური რიცხვია (სული წმინდის მოხველი) 50 მონაზონი იყო წმ. რიცხვისმეტ ქალწულთა მონასტერშიც“; ფრაგმებში ტიპიკონში ეს რიცხვი 100-ით არის განსაზღვრული, რამაც მეცნიერს ავარაუდებინა, რომ „იქნებ ნაწევებში მოხსენიებული 100 სახუცო სახლიდანაც 50 ტომით ქართველი, 50 კი –

ნებულ საგვარეულო მონასტერს 1205-1230 წლებში წეს-განგება დაუდო (ტალახაძე 2009, 35), რომელიც, „ვაჰანის ქვაბთა განგების“ სახელით ცნობილი, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ფასდაუდები ძეგლია, რადგანაც სხვა არცერთი ნიმუში მსგავსი დოკუმენტისა სრული სახით არ მოღწეულა ჩვენამდე, მხოლოდა ერთი „უცნობი მონასტრის“ ტიპიკონის ფრაგმენტია შემორჩენილი<sup>7</sup>. ჩვენი განგების ზოგადკულტურულ ღირებულება არაფრით მცირდება იმით, რომ მოგვეპოვება უნაკლოდ დაცული პეტრიჭონის ქართული სავანის წეს-განგება.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მნიშვნელობას, როგორც, უიშვიათესი წყაროსი საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის თავგადასავალისა თუ საეკლესიო-საკორპორაციო სამართლის ისტორიის გასაშუქებლად, ერთი-ორად ზრდის ეტრატის გრაგნილზე მინაწერი ტექსტები, იშვიათი წყაროთმცოდნეობითი ღირსების მასალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარჩინებული სახლების, ისტორიული გეოგრაფიის თუ პოლიტი-

---

სომეხი დიოფიზიტი მონაზვნებისა იყო“ (იხ. დ. ბერძენიშვილი, ახტალის მონასტერი, ნარკვევები, 2005, 209)

<sup>7</sup> ს. კაპაბაძის მიერ აღმოჩენილი ეს ფრაგმენტი 1970 წელს გამოიცა ი. დოლიძის მიერ (ქართული სამართლის ძეგლები III). დ. ბერძენიშვილი და ქ. ქუთათლაძე მიიჩნევენ, რომ ფრაგმენტი ახტალის მონასტრის ტიპიკონის უნდა იყოს 1191-1212 წწ. ივანე მხარგრძელის მიერ დადებული; იხ. დ. ბერძენიშვილი, ახტალის მონასტერი, ნარკვევები, 2005, გვ. 197-217; ქ. ქუთათლაძე, რომელ მონასტერს აკუთვნის ეწ. „უცნობი მონასტრი“ ტიპიკონი, კავკასიოლოგიური ძიებანი I, 2009, გვ. 349-361. ფრაგმენტს შეეხო ნ. თორთლაძეც – იხ. მისი „უცნობი მონასტრის ერთი ტერმინის წაკითხვისათვის, ამირანი, 2006.

გური ისტორიის სხვადასხვა საკითხის გასაშუქებლად (იხ. ტალახაძე 2009)<sup>8</sup>.

მონასტრის მეპატრონე თმოგველთა მორჭმული სახლის დაკნინება XIII საუკუნის ბოლოდან ბექა ჯაყელის მიერ ჯავახეთის დაპყრობით, აქ ჯაყელთა სახლის მფლობელობის გაფართოებით იწყება, რაც სხვა რიგის პროცესებთან ერთად რეგიონის სოციალურ სტრატიგრაფიასაც ცვლიდა. ბევრი ძველი, ტრადიციული არისტოკრატული საგვარეულო დაემცრო, დაკნინდა, ან, სულაც, გაქრა ისტორიის ასპარეზიდან, რაც სტაბილურ ვითარებაში, ცხადია, ვერ ჩაივლიდა.

ჯაყელთა ექსპანსიიმ, მით გამოწვეულმა შიდა კლანურმა დაპირისპირებამ და, საბოლოოდ, საგარეო გართულებებმა, როგორც ითქვა, მხარის ცხოვრება ძირეულად შეცვალა. თმოგველთა სახლმა სამუდამოდ „დააობლა“ თმოგვი და ქართლში გადმოხვეწით თმოგველუჯარმელ-ფავნელიშვილთა თავადური გვარი დააფუძნა (კაკაბაძე 1913).

მონასტრის ტიპიკონის ხელნაწერს დაუცავს რამდენიმე მინაწერი რჩეულასძე-რჩეულაშვილების სახლისა, რომელთაც XIII საუკუნის მიწურულით და XIV საუკუნით ათარიღებენ. მათგან უძროესი „ვანის ქუაბთა ბატონ როსტევანს, ძმებს-თაყას, ვასარსის, შანშეს, შვი-

<sup>8</sup> სადღეისოდ, ზემოთაც ითქვა, მოგვეპოვება „განგების“ ტექსტის რამდენიმე აკადემიური გამოცემა – პირველად ო. უორდანიას გამოსცა იგი მცირე კომენტარებით 1896 წელს. შემდეგ ლ. მუხაშელი შვილმა 1936 წელს, რასაც მოჰყვა ი. დოლიძის პუბლიკაცია „ქართული სამართლის ძეგლების“ III წიგნში და ბოლოს ი. ტალახაძემ ძეგლის ისტორიულ-წაროთმცოდნეობით შესწავლასთან ერთად გამოაქვეყნა ტიპიკონის ტექსტი 2009 წელს.

ლებს – ვახტანგს და ზევრადს და მათი სახლის „ყოველთამყოფთა“ ეპუთვნის. ეს საბუთი თვალნათლად გვიმოწმებს იმ ფაქტს, რომ რჩეულასძეები „ვანის ქუაბთა ბატონებად“ ქცეულან. მოგვიანო XV საუკუნის მინაწერში ამ სახლის შვილები ენუქ და ალფეზ, უკვე რჩეულაშვილებად წოდებულნი, ვანის ქვაბთა მონასტრის მეპატრონებად აღარ ჩანან, საგულვებელია, XIV საუკუნის ბოლო ათწლეულიდან.

ვაჭანის ქვაბთა განგების ერთი, 1393 წლით დათარიღებული მინაწერი გვამცნობს: „მე, მურვან ლარიბასძე, რამეთუ უმკვიდრო ვიყავ ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან ნაშობთა ზურგისა ჩემისათა, შვილთა ჩემთა ჯორციელთა ნუგეშინის მცემლად სულისა ჩემისა განვაგე საუკუნო საჯსენებელი და მოვაწსენე ეკუდერსა სამკუიდრებელსა ჯორცთა ჩემთასა ვანის ქუაბთა სანაწილესა და საფლავსა ჩემთა მიცვალებულთასად და საფლავსა ზედა მწირველსა ჩემსა იორდანესშვილთა და ჩემისა ალალითა საფასოთა ნასყიდი ერთი მამული ორხოფიას, როგაშაული, მისითა მთითა, ბარითა, ზღვრითა, ჭალითა, წყლითა, წისქვილითა, საჯმარითა და უკმარითა; ერთი ვენახი ტოლოშს, ახლშენი მაღნარას, იგიცა ნასყიდი და მოუდევარი; ორნი ყანანი ფიურნი, იგიცა ნასყიდი და მოუდევარი. ვინცა შემდგომით შემდგომად მწირველი იყოს, დიდთამარხვათა შიგან შეუიდსა შაბათსა ჟამსა წირვიდეს ჩემთათვს და ჩემისა ძისა დარიბა არსლანისათვის.....“. ეს მურვან დარიბას ძე რამდენიმე გზის კიდევ გაიდებს შეწირულობას მონასტრისათვის, რომელიც, ჩანს, მისი სახლის

სამკვიდრო-საძვალედ („სამკუიდრებელსა ჯორცთა ჩემთასა“) ქცეულა. შეუწირავთ, აგრეთვე, „ღარიბასძისა სძალთა“ მამადედასა და დუნიადს და მათს შვილებს, ქავთარელას და ფოცხუერს „ჩუმთა ქმართათვს, საგიასა და ინდუსტარისთვს“, მემკვიდრეებსაც: „შევწირეთ დამოგაქსენეთ ჩუმნ, მირძამა და ზაზამა მკვდრი ჩუმნი მამული, მის სულეურთხეულისა მამის ჩვენის საგიასაგან ნასყიდი“; უნდა ითქვას, რომ ღარიბასძეთა სახლის საბუთებში სტრიქონთა შორის იგრძნობა, შინათუ გარე მომხვდურთა თარეშით გამოწვეული, ეპოქის ნერვული, დაძაბული მაჯისცემა.

ღარიბაისძეთა სახლის წევრად ზოგი მეცნიერი თმოგვის ციხეზე გამოვლენილი 1350 წლით დათარიღებული წარწერის<sup>9</sup> მურგან კითხაისძეს მიიჩნევს სახლთა იდენტურობის საფიურველზე (ცისკარიშვილი 1959, 108; ბერძენიშვილი 2005, 224), თუმცა, ვფიქრობთ, მეცნიერულ მიმოქცევაში სადღეისოდ, არსებულ მასალებით, ამ ორი გვარის სისხლისმიერი მოდგამობა-ნათესაობის გერსია საჭეკოდ გამოიყურება. ალბათ, საქმე რეგიონში ერთდროულად მოდვაწე ორ, სხვადასხვა წარმოშობის საგვარეულოსთან გვაქვს (ტალახაძე 2009, 97).

<sup>9</sup> „შეწევნითა და ძლიერებითა ვარძიის ღვთიშობლისაითა, ქორონიკონსა ლც დაგიწევ ზღუდე ესე მე მეფეთ-მეფის დავითის ვარძიელმა საწოლის მწიგნობარმა, თმოგუს მურგან კითხაისძემან. თეოდორე დადგა“; წარწერა, აქაღნიშნული ქორონიკონის მიხედვით, უცომლად დათარიღდა 1350 წლით (ცისკარიშვილი 1959, 107).

ჯავახეთში ჯაყელების მომაგრება ვანის ქვაბთა მონასტერზეც აისახა, ტიპიკონის მინაწერ საბუთებში სულ უფრო მრავლდება ცნობები მონასტრისადმი მათი მზრუნველობის შესახებ; შემწირველთა შორის პირველ რიგში დასახლებულია ივანე ათაბაგ-ამირსპასალარი, რომელსაც მონასტრისათვის გაუდია „ერთი საკელაპტრე სუეტი ვერცხლით შეჭედილი, ერთი ვერცხლის კანდელი საუფლო, ჭაჭკრული სათათრო მალი“; სხვა მინაწერით „... მე, პატრონმან ივანე გკადრე და შემოგწირე მცირე შესაწირავი ვანის ქუაბთა, წინაშე ხატსა ღმრთაებისასა ჩემისა სულისათვს ათას ხუთასი თეთრი; ჩემისა საპატრონოსა ტადმისაგან, თმოგუს“.  
ივანეს ათაბაგობა 1391-1444 წლებზე მოდის, მინაწერებში მისი პატრონად მოხსენიება (პირველ მინაწერში ბატონი წერია), ვფიქრობთ, სამცხე-საათაბაგოს მეპატრონეობას გულისხმობს და არა მხოლოდ ვანის ქვაბთა მონასტრისა. საეგებოდ, ამ დროს ქვაბებს სხვანი მეპატრონეობენ, ხოლო, ათაბაგის შეწირულობა მის საეკლესიო პოლიტიკასთან კავშირში უნდა განვიხილოთ.

ივანე ათაბაგის შეწირულობანი გაანახლა: „პატრონმან ყუარყუარე და თანამეცხედრემან ჩემმან პატრონმან ანა და ძეთა ჩუღნთა პატრონმან მზეჭაბუკ და პატრონმან ქაიხოსროვ, როგორაცა ძუშლთა სიგლებ შინა სწერია ჭაჭკრული მალი ჩუღცა ისრე მოგვიჯენებია საცოდ ჩუღნდა“. მინაწერი ეკუთვნის ათაბაგ ყუარყუარე III -ს (1515-1535 წწ.), რომლის უმცროსი ძე ქაიხოსრო ათაბაგად გვხვდება 1545-1573 წლებში. ვანის

ქვაბისადმი შეწირულობანი გაუდია ამ ქაიხოსრო ათაბაგის მემკვიდრე ყვარყვარე IV-საც: „...შეიწირე მცირე ესე ძღვენი მე ათაბაგისა ყუარყუარესათვს და მანუჩარისათვს და ძისა ჩემისა ქაიხოსროსთვს და თუალ-შვევნიერისათვს სადღეგრძელოდ და საჯსრად სულისა ჩუენისა“. მკვლევარები თვლიან, რომ საბუთი შესრულებული უნდა იყოს 1574-78 წლებს შორის, მანამ, სანამ მმები, ყუარყუარე და ქაიხოსრო, ერთურთს დაუშედლებოდნენ (ტალახაძე 2009, 99-100).

შეწირულობათა გამდები ჯაყელები, როგორც ვხედავთ, XV-XVI საუკუნეების მოღვაწენი არიან, ამიტომაც ჩნდება კითხვა: მოყვანილი ფაქტები ხომ არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოგამოთქმულ თეზას XV საუკუნიდან მონასტრის გაუკაცერებისა და აქ ცოხე-სახიზნოს მოწყობის თაობაზე? ვფიქრობთ, რომ არა: ჯერ ერთი, XV საუკუნეში, ვამბობთ შეჯერებით, ქვაბებს ერთი ბერიდა შეერჩენიყო, დაყუდებული ხიმშიაშვილი. მეორეც, ამ, ე.ი. შეწირულობათა საბუთებში პირდაპირ არის, ხოლმე, მითითებული შეწირულობათა ადრესატი (მონასტერის კრებული, მფარველი წმინდანი თუ ხატი, სამწირველო თუ ეპვერი), რაც საგულისხმო სურათს გვაძლევს – ადრეულ საბუთებში ხშირად ფიგურირებს მონასტრის კრებული, რასაც თითქმის ვერ ვხედავთ გვიანი პერიოდის მინაწერებში<sup>10</sup>

<sup>10</sup>მურვან დარიბას ძის 1393 წლით დათარიღებულ მინაწერი - „... მოვაწს(ე)ნე ეპუტერსა სამკვიდრებელსა ხორცთა ჩემთასა განისქუათა სანაწილესა და საფლავსა ჩემთა მიცვალებულთასა და საფლავსა ზედა მწირველის ჩემსა...“ მინაწერი: „საშინელსა

მესამეც, რეგიონში ეპლესია-სახიზარის თანაარსებობის ფაქტი ხომ იქვე წუნდის მაგალითით მტკიცდება (ენუქიძე 2000, 175). და კიდევ – მონასტრის არსე

---

ხატსა მაცხოვრისა ვანის ქუაბთა და მას შინა დამკვიდრებულთა მღვდელ-მონაზონთა, მღვდელთა და დიაკონთა და საღმრთოსა კრებულსა...“. გულშარი სხვა საბუთში მიმართავს შეწირულობის ადრესატს „შემოგწირე შენ, ჩემსა მონასტერსა და სამკიდრებელსა ჩემსა ეპუდერსა.“ სხვა მინაწერი მურვან დარიბასძისა - „თავსდებობისა და შუამდგომელობით და მოწმობითა პატიოსნისა, სახოსა, შესავერებელისა და კუალად მფარველსა ჩუენსა ხატსა მაცხოვრისასა ვანისქუაბთა და მას შინა დამკვიდრებულთა საღმრთოსა კრებულსა მღვდელთა და დიაკონთა მოგიძუნე და მოგახსენე...“; მისივე სხვა დაწერილი - „... მფარველსა ჩუენსა ხატსა მაცხოვრისასა ვანისქუაბთა და მას შინა დამკვიდრებულთა საღმრთოსა კრებულსა, მღვდელთა და დიაკონთა მიგიძლუანე და მოგახსენე...“;

მაცხოვრის ხატს, წმინდა გიორგის და „საფლავსა და სანაწილესა ჩვენთა მიცვალებულთასა“ სწირავენ დარიბასძეთა სძალნი მამადედა და დუნია.

რჩეულასძეთა მინაწერიც ასახელებს „ვანის ქუაბელთა“ „საღმრთო კრებულ“, „ერთსულობით შეკრებულთამ...“; „... და თქვენსა წინაშე დამკვიდრებულთა წმიდათა მამათა და ძმათა ვანის ქუაბელთა“ -ამბობს ჩაისარ თმოგველის ასულ გულქანის მინაწერიც.

ივანე ათაბაგის (1391-1444) ერთ მინაწერში დასახელებულია „ვანისქუაბთა“ „ხატი დმრთაებისა“, სხვაგან, ასევე – „გავადრე და მოგახსენე მე, ათაბაგ-ამირსპასალარმან ბატონმან ივანე, ვანის ქუაბთა მაცხოვრის ხატსა...“. მონასტრის კრებული არ ჩანს არც პატრონ ყუარყუარეს (1451-1498) და მისი თანამეცხედრე ანას შეწირულებაშიც „... საშინელსა ხატსა მაცხოვრისასა ვანისქუაბთა, გავადრეთ და მოგახსენეთ...“ სხვა დაწერილი „არსებად დაუბადებელსა და გარეშემოუწერელსა ხატსა დმრთაებისასა გპადრეთ და მოგახსენეთ მე, პატრონმან ყუარყუარე და თანამეცხედრემან ჩემმან პატრონმან ანა...“ და სხვ.

ბობა რომც ვიგულვოთ, მაინც ეპიზოდურ ხასიათის გამოდის და ვერაფრით ამაგრებს „კედლის პოეზიის“ ავტორი ქალბატონების მონაზვნად შერაცხვის აზრს, ამიტომ რწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი საერო პიროვნებანი არიან (რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიმაგრე-სახიზნოდ ქცეულ ვანის ქვაბებში არ უნდა ვიგულისხმოთ მოქმედი ეკლესიის არსებობა; პირიქით, სამლოცველოს გარეშე მას ვერც კი წარმოვიდგენთ, თუმცა, დავსძენთ კიდევ ერთხელ, კომპლექსის უმაღლეს იარუსზე გამართული პატარა ეკლესია, საამდროოდ უკვე უქმია, რასაც აქ დაცული ეს წარწერები მეტყველებენ).

1516 წლის ახლოს შედგენილი „ქ. წ~დისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნის“ ცნობით: „13. თოვგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა შალიკაშვილთა ელისბაალს და იოთამს აქუს“<sup>11</sup> (შარაშენიძე 1961, 34). ელისბაალისა და იოთამის კარის ეკლესიად, ცხადია, ვანის ქვაბები იგულისხმება, სადაც მათი მეპატრონეობა, ალბათ, ჯაფელ-ათაბაგთა სახლის წინააღმდეგ აღმდგარ შალიკაშვილთა დამარცხება-დამცრობამდე გაგრძელდა; მალე ამის შემდეგ კი სამცხეს ოსმალები დაეპატრონნენ, რამაც

<sup>11</sup> შალიკაშვილები მესხეთის უძველესი წარჩინებული სახლის ოთარის (ოთისა და მისი შესავლის მეპატრონები) მემკვიდრე-მონადევარნი არიან (კუტალაძე, მაისურაძე 1992; კუტალაძე 2009).

მესხეთის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებას სხვა გეზი და სადინარი მისცა, რელიგიურ-აღმსარებლობით ცვლილებათა პარალელურად შეცვალა მხარის სოციალური სტრატიგრაფია, ბევრი წარჩინებული გვარი ამოწყდა, ზოგი საქართველოს სხვა მხარეში გადავიდა და იქ მომაგრდა, მოკლედ რომ ვთქვათ, შეიცვალა მესხეთის ცხოვრება და, მასთან ერთად, ვანის ქვაბებისაც, რომელიც კარგა ხნით გაუჩინარდა ქართველი კულტურის თვალსაწიერიდან.

კიდევ ერთი; მდიდარი, ღონიერი მონასტერი, როგორც ირკვევა, საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალში ფლობდა შეწირულსა თუ ნასყიდ მამულ-ქონებას, მაგალითად, მიწებს სოფ. ტოლოშს, მჭედლისუბანს, „როტაშეულ“ მამულს ორხოფია სოფელში, კუნძულეთში, დიდკლდესა თუ კუარბში, ერკუატასა თუ ჭაჭკარში. უკვე ითქვა, რომ მონასტრის საქონებელი მიწა-მამულები, საერთოდ მისი, ისტორიული გეოგრაფიის საკითხები სათანადოდ არის კიდეც შესწავლილი და დაზუსტებული (ტალახაძე 2009, 112-133), ამდენად, აქ ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია. მხოლოდ მონასტრის ხევში მდებარე ორიოდ დასახლებაზე შევჩერდებით;

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრი“ ახალქალაქის ლიგის თმოგვის ნაპიდეში უშუალოდ ჩვენს ძეგლთან დაკავშირებულ ორ პუნქტს ასახელებს – მე-9 პუნქტი „სოფ. ვანისხევი“, სამი (ზახურაბეგლისძე, დემეტრე მელაძე და გარძელ ძმა მისი) კომლით. გვიჭირს ამ სოფლის ადგილმდებარეობის და-

ზუსტება, როგორც თავის დროზე ს. ჯიქიაც აღნიშნავდა, ცნობათა სიმწირის გამო (ჯიქია 1957, 365). ი. ტალახაძე ვარაუდობს, რომ ვანისხევი „უშუალოდ ვანის ქვაბების ხევში“ მდებარე დასახლება უნდა იყოს, ტიპიკონის ერთ მინაწერ საბუთში მოხსენიებული: „...შემოგწირე და მოგაწენენ ჩუცნებან აღშენებული ჭევის ბოლო და ახალ შენი მისითა ვენაჯითა ჩუცნ რჩეულას-ძეთა როსტევან...“. მკვლევარის ვარაუდით „შესაძლოა ტერმინი „აღშენება“ ვენახის ან ბაღის გაშენებასაც გულისხმობდეს“, ხოლო „კევი“ საბუთისა სოფელ ვანისხევის „შემოკლებული სახელი უნდა იყოს“. რჩეულასძების შეწირულობა, მისი აზრით, ახალ შენ ვენახს ეხება, ამ მიდამოებში, წერს ის, „დღევანდლამდე შემორჩა ვაზის უძველესი ჯიშები. აქვეა არაერთი ქვის საწინახელი“ (ტალახაძე 2009, 114-115). სხვათა შორის, ზაგურსკის მითითებითაც ვანის ქვაბების სიახლოვეს „4000 ფუტზე (1300 მ. მეტი გ.კ.) მაღლა ზღვის დონიდან“ სოფელ გოგაშენში<sup>12</sup> ვაზი ყოფილა გაშენებული (Загурский 1873, 59).

<sup>12</sup> სოფლი გოგაშენი დღეს ჯავახეთის ზეგნის პირზეა ვარძიის მოპირდაპირედ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იცნობს სათესველ გოგაშენს თმოგვის ნაკიდეში, რომელიც მტკვრის ხეობაში მდებარე ჭაჭკარი სოფლისა (აღნუსხულია მე-7 პუნქტად) ყოფილა. ს. ჯიქიას თავის ჯავახეთში მოგზაურობის „დღიურში“ აღუნიშნავს, რომ „გოგაშენს ქვემოთ (იგულისხმება თანამედროვე სოფელი გოგაშენი ჯავახეთის ზეგანზე გ.კ.) მტკვრის ორთავე ნაპირას ამჟამად ბაღებია და ამ ადგილს ჭაჭკარს ეძახიან (ჭაჭკრის გაღმა ნაპირი ვარძიის მონასტრის ქვემოთაა. გამოღმა (გოგაშინისკენ მდებარე) ჭაჭკარში დარჩენილია ნასახლარების კვალი“ (ჯიქია 1941, 264). „დავთრის“ დროის ჭაჭკარი სოფლის სათესველ გოგაშენში გვიან ჭაჭკრის მოსახლეობა გადასულა, გოგაშენი

მეთორმეტე პუნქტია „სოფ. ვანისქვაბი“ – დაჯერუბით ვერ ვამბობთ იგი ქვაბებში მდებარეობდა, თუ ზემოთ უკვე ნახსენები, მონასტრის კრებულის მომსახურებისათვის სპეციალურად ზღუდის გარეთ გამართული, პატარა კლდის სოფელი იწოდებოდა ასე. ეგებ, „დავთოის“ ვანისქვაბი სწორედ ეს უკანასკნელი იყოს, სადაც გონიასძე, ლალასძე, ჩალაბასძე, ზარაფასძე გვარსახელის (ერთი არ იკითხება) ცხრა კომლი არის ფიქსირებული (ჯიქია 1941, 244). ტიპიკონის ერთ მინაწერში – „არსებადდ დაუბადდებელსა და გარშემოუწერელსა ხატსა ღმრთაებისასა გკადრეთ და მოგაწსენეთ და შემოგწირეთ ჩუჭნ რჩეულასშვილთა ენუქ და ალფეზ: განძასჯევს ვენაჯი და მევენაჯე მისითა სახლ-კარითა. ტულუხი ჩუჭნიგანვე ჰქონდა ჭაჭკარს, საზედაშეთ; ბერაულის მესამედი მისითა სახლითა; ვანისქუაბს ირინაშვილი ერთი მა მესამედითა სახლითა“ – აქ მოხსენიებული ეს „ვანისქუაბი“, სავარაუდოდ, სოფელ ვანისქვაბს გულისხმობს, საიდანაც მონასტრისათვის ერთი მომსახურე შეუწირავთ მეპატრონებს.

\*\*\*

საბოლოოდ, შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯავახეთში, ვარძიის სიახლოეს მტავრის მარჯვე-

---

სოფლად ქცეულა, ხოლო ჭაჭკარი მათ ბალებად, ასეა დღესაც. ზაგურსკისთან აღნიშნული გოგაშენი შეელი სოფელი ჭაჭკარია, უკვე გოგაშნელთა ბალებად ქცეული, შესაძლოა, რამდენიმე მუდმივი მცხოვრებითაც (ხაზგასმები ყველგან ჩვენია, გ.პ.)

ნა სანაპიროს ფრიალოში ნაკვეთი ვან(პ)ანის ქვაბთა მონასტერი ქართული ხუროთმოძღვრული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. მისი წარმოშობა სა-ქართველოში მეუდაბნოებითი მოძრაობის დასაწყის ხანას, ზრდა-განვითარება კი, სამონასტრო-მონაზონობითი ცხოვრების არნახულ აღმავლობას უკავშირდება, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში განუკვეთლადაა შეკავშირებული გრიგოლ ხანცოლის სახელთან.


XII–XIII საუკუნეები ვანის ქვაბებში სამონასტრო ცხოვრების განახლეაბ-გაცხოველების ეპოქაა, როცა ჯერ გურგენისძეთა, შემდეგ თმოგველთა დიდებული სახლი უშურველად ზრუნავს მონასტრის გამშვენებასა და ნივთიერი თუ სულიერი სახსარით გამდიდრება-გაღონიერებაზე. 1225-1230 წლებში მონასტერს გამრეკელ თმოგველმა დაუდგინა საგანგებო წეს-განგება, ტიპიკონი, რომელიც სადღეისოდ საქართველოს მართმადიდგბელი ეკლესიის ერთადერთი სრულად შემორჩენილი ნიმუშია სამონასტრო ტიპიკონებისა.

„ქა(პ)ანის ქვაბთა განგება“ წარუკალი კულტურულისტორიული ღირებულების ძეგლია. მარტო ტიპიკონის ხელნაწერ დედანს შემორჩენილი მინაწერები რად ღირს, იშვიათი ცნობებით მესხეთის პოლიტიკური, სოციალური, საეკლესიო, დემოგრაფიული თუ ცხოვრების სხვ. სფეროთა შესახებ. ქართული კულტურის ისტორიისათვის მეტად საგულისხმოა ვანის ქვაბებში „სახნეულოს“ და „მესნეულეს“ ანუ სპეციალური ცოდნით აღჭურვილი დასტაქარის არსებობის ფაქტიც.

კომპლექსის თითქმის უმაღლეს, ძნელად მისადგომ, იარუსზე XIV საუკუნეში გამართული პატარა ეკლესის თეთრად დაბათქაშებულ კედელზე დაცული ორმოც-დათზე მეტი სხვადასხვა შინაარსის წარწერა, მესხ დიდგვაროვან, ძნელბედობის გამო სიმაგრედ ქცეულ ვანის ქვაბებს შელტოლვიდ, ბანოვანთა მიერ შესრულებული, წარმოაჩენს რუსთაველურ ტრადიციაზე დამყარებულ კულტურულ (ზნეობრივ, ესთეტიკურ...) ღირებულებათა უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობას, რაც, ქართული კულტურის ისტორიაში ვა(პ)ნის ქვაბთა მონასტერის გამორჩეულ მნიშვნელობაზეც მეტყველებს.

|

გორგი VIII + თამარ (ყვარყვარე II დიდის ასული)



გულექან შალიკაშვილის სახლიშვილობა

## The Vanis Kvabebi (Vani Caves)

In Javakheti, near Vardzia, on the right bank of the river Mtkvari, the Monastery of the Vani Kvabebi, cut in the rock is one of the prominent monuments of Georgian architecture. Its origin is linked with the beginning of “the Desert Movement” in Georgia, development and revival of monastic life which is connected with the name of Grigol Khantsteli in the history of Georgian culture.

The Vanis Kvabebi is one of the ancient Cave monastery complexes of Christianity, where anchorite life was started in the V-VIII centuries. The terms “Vani” (resting) and “Kvabi” (Cave) were preserved in the toponym, as well as the tradition of naming a monastery as “a desert”. There is an opinion, that the term “Vani” means the space in cave, used by the “monks” for their stay and it was called “a desert”. Accordingly, the concept “a desert” always was applied only for “caves” and religious cave monuments. The term “a desert” and “a rest” in ordinary language expresses an opposite concept, while in the religion those terms “resting space” (Vani) and “a desert” are filling each other, as both a desert and a resting place are the places for the rest and stay for the god-seeker son of Adam, this is the sacral space for a human being to the God, a Church or Monastery. It is hard to find another monument with the name referring to anchorite view-point clearly and precisely, the religious and theosophical symbolic. At the initial Christianity period anchoritic life is always connected to the caves, the complex of caves, though it does not mean establishment of a monastery life.

The architectural style of the anchoritic period caves was determined by its purpose. The first artificial or speleological chambers

are of any shape, like oval, quadrangular, unequal, low, frequently, with the ceiling turning into a wall and sometimes linked to a hall.

Since the VIII century in Georgia ascetic-anchoret life is turning into strong monastery movement. The Monastery assembles from the architectural prospective are complex on-ground constructions including churches, with a refectory, warehouses, libraries and scriptoriums, a hospital emerging one after another. “The life of Grigol Khantsteli” presents quite an impressive picture of this very productive, social and religious work having general cultural importance.

This strong wave of monastery life, of course, reached the religious center in the Vanis Kvabebi which was revealed in enriched architectural forms by new constructions demonstrating the epoch aspiration. The first stage of construction activities took place in the IX-X centuries, later on the greater rooms with well-organized architecture and floors made by Georgian brick were arranged on twelve layers of the complex. During this period, in the X century, the church located on the lower layer of the northern part was reconstructed, the western part of the church was decorated with the simply-cut cornice.

The monastery was strengthened and revived in the XI-XIII centuries. The Cave Monastery of St. George was constructed in the XI century, which is very close to the cross-domed churches of David Gareja, Sabereebi and Samsari. The interior of the Domed hall is divided into three parts, Eastern alter is directly linked to the central part, like a typical architectural solution for that period. The rest of the hall is divided into two parts by the columns which are ended by the arch set on sails instead of the trompes. The

architectural composition of the church belongs to “Cupolhale” style which was developed at the end of the X century and beginning of the XI century. Though, the later reconstructions violated the unity of the composition on the north-east and the south walls of the buildings. The southern constriction is two-storey ecuderia, with its tomb by its construction script on the second floor, indicating that the owners of the Vanis Kvabebi monastery are the constructors of the nearby Tsunda Church, by our version, they could be the descendants of the Bagrations from Klarjeti, the noble-family of the Gurgenidzes.

Childlessness of Ichkit Gurgebidze probably caused transfer of the church into ownership of king based on the inheritance Rule of Beitalmani, therefore, the royal house led its improvement and empowerment. According to the directive of the King Tamar, the ground in front of the complex surrounded by the rocks was fenced by direct supervision of the “Mtsignobartukhutsesi” (The head of educational affairs) who made respective script for indicating this fact; During archeological excavation two gates installed within the wall of 100 meters constructed by the catholicon were found.

Presumably, since 1205-1206 cave was transferred to the family of Tmogveli by initiative of the royal door. The new age of a monastery life started under the reign of the Tmogvelis’ family. The construction activities were intensified, new owners conducted the restoration works of the St. George Church, they constructed the western portico and a bell-tower to the church.

The earthquake of 1283 damaged the caves very much. The archeological excavations revealed the awful picture of the terrible collapse.

The new interesting materials about the Vanis Kvabebi's history, its daily life was explored based on the archeological excavations. The metal dish of XVI-XVIII century with various shapes and ornaments were found and scientifically studied. Typological classification of the pottery verified the artistic and innovative originality of material originated from the local traditions. The laboratory study of the tissues obtained during the works in one of the caves in 1964 revealed eleven patterns of the wool and one flax produce, proving the great variety of the folk textile technique and ornamentation and the ancient forms of the handicraft in Samtskhe, where carpet and rug knitting had the important place.

At the threshold of the monastery, the archeologist explored the stony house with three chambers, with eight chambers and tower of the VIII – IX century. Probably, it was the settlement of the monastery servants, mentioned in the monastery regulation. An impressive construction of water supply system and hiding caves found in three places with secret tunnels, which can be linked with the fortress-hiding arrangement, are very important out of the classic age archeological explorations.

The owners did their best for restoration and reviving of the monastery. In the XIV-XVcc. a small cross-domed church by the size 3.8X2.41X3.6 was constructed on the place of stone houses on the twentieth century. It was constructed by the bricks and stones in some parts, closed, with secret tunnels. The church plastered in white gives special color and charm to the entire monastery complex and it is its visit card with the valuable scripts.

Desolation of the Vani's Kvabebi Monastery is linked to the attacks of the rivals, especially, Iranians in 1551 and Ottomans in

1578, though internal disorders contributed to ruin of the complex. Therefore, the house of God was used more for defense rather than for its original purpose that period.

A small church of the Vani's Kvabebi of the XIV-XV century is well-known for the researchers and specialists of the literature culture of Georgia due to so-called "Wall poetry" preserved here, which includes original and folk artistic pieces and what is the most important, the earliest manuscript of the "Vepkhistkaosani" (The Knight in the Tigers' Skin). Noteworthy, that in the scientific literature, almost unanimously, with couple of exceptions, the authors, Banovanebi ("the noble ladies") are considered as the member-nuns of "the society of women having quite intimate attitude towards each other". Though the poetry from the Small Church emerged from the Rustaveli understanding of love, from its ascending tradition of love and this is continuation of this tradition. We think that the Vani's Kvabebi Complex was turned into fortress for the XV-XVI centuries, where people used to hide during the battles.

One of the articles of the Monastery regulation refers to assignment of a monk as "a healer", what means that it will be required not only to be a kind person, but also to have the minimum knowledge and skills how to care on a sick person. "A healer" should be the person who was aware of diseases and to be a skillful in healing, for that a special study and trainings were required. The hospital or the specific construction for treating sick people is not mentioned in the monastery regulation, but the results of the study of the human skeleton found in the Vani's Kvabebi, conducted in the 70s of the past century in the speleological laboratory of the S. Janashia State

Museum of Georgia, makes functioning of the hospital in our monastery obvious.

Since the beginning of the XIV century the Vani's Kvabebi was under the ownership of different feudal families, such as the Gharibadzes, the Rcheulashvilis, the Shalikashvilis, followed by the expansion of the Jakeli family. Since the XVI century, when Samtskhe-Javakheti is invaded by Ottomans, the region cultural-political and religion life is totally changed, impacting the Vani's Kvabebi, the complex was damaged and became desolate. It was behind Georgian cultural life for certain period. Since 30s of last century comprehensive study of the monument was started.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. აბულაძე 1983; ც. აბულაძე, თურქული წყაროები XVI საუკუნის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ., 1983
2. ანდრონიკაშვილი, 1966; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. 1966
3. ახალი... 1959; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959
4. ბერძენიშვილი 1990; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
5. ბერძენიშვილი 1964; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964
6. ბერძენიშვილი 1966; ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966
7. ბერძენიშვილი 1985; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიდან, თბ., 1985
8. ბერძენიშვილი 2005; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005
9. ბოჭორიძე 1992; გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992
10. გაფრინდაშვილი 1966; გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, ძეგლის მეგობარი, 6, თბ., 1966

- 11.** გაფრინდაშვილი 1966\*; გ. გაფრინდაშვილი, თმოგვი, ძეგლის მეგობარი 8, თბ., 1966
- 12.** გაფრინდაშვილი 1971; გ. გაფრინდაშვილი, არქიტექტორულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბებში 1967 და 1968 წლ., საქ. სახ. უზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971
- 13.** გაფრინდაშვილი 2000; გ. გაფრინდაშვილი, თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა, კრ. მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე 2000
- 14.** დოლიძე 1970, ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები III, თბ., 1970
- 15.** ელიზბარაშვილი... 2011; ნ. ელიზბარაშვილი, ბ. კუპატაძე, საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა, თბ., 2011
- 16.** ვახუშტი 1973; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეცნიერო საქართველოსა, ქართლის ცხოვრება თომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბ., 1973
- 17.** თორთლაძე 2006; ნ. თორთლაძე, უცნობი მონასტრის ერთი ტერმინის წაკითხვისათვის, ამირანი, 2006
- 18.** ისტორიანი... 1959; სიტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თომი II, თბ., 1959

- 19.** კეკელიძე 1974; პ. კეკელიძე, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1974
- 20.** კიკნაძე 1989; ზ. კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989
- 21.** კუტალაძე 2009; გ. კუტალაძე, შალიკაშვილთა ვინაობა-წარმომავლობისათვის, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, თბ. 2009
- 22.** კუტალაძე 2013-14; გ. კუტალაძე, ქვემო ჯავახეთის მფლობელ-მქონებელთა ვინაობის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები VIII, თბ., 2013-2014
- 23.** ლეონტი 1955; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი და დგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955
- 24.** ყიფიანი 2013; გ. ყიფიანი, ვანის ქვაბების მამათა მონასტერი, კრ. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, თბ., 2013
- 25.** მეგზური 2000; საქართველოს მეგზური I, ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 2000
- 26.** მერჩულე, 1978; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978
- 27.** მუსხელიშვილი 1939; ვაჟანის ქვაბთა განგება, ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, ტფ., 1939

- 28.** ნარკვევები 1970; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970
- 29.** ონიანი 1959; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, უკრნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1959, 7;
- 30.** ონიანი 1960; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, უკრნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1960, 8;
- 31.** ონიანი 1959a; შ. ონოიანი, ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში (პ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული), თბ., 1959
- 32.** ონიანი 1967; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, ძეგლის მეგობარი, 10-11, თბ., 1967
- 33.** პაპუაშვილი 1996; ნ. პაპუაშვილი რელიგიის ისტორია, კარიბჭე, თბ., 1996
- 34.** ჟამთააღმდევრები, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. აუხიშიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959
- 35.** ჟორდანია 1986; ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ „ვაჭხანის ქუაბთა“, თ. ჟორდანიას გამოცემა, ტფ., 1886
- 36.** ჟორდანია 1897; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ოსტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897
- 37.** სილოგავა 1994; ვ. სილოგავა, იჩქით გურგენიძის სამი წარწერა, ნერგი, 1-7, 1994

- 38.** სილოგავა, ახალაძე 2012; კ. სილოგავა, დლ, ახალაძე, ჯავახეთის ქართული ლაპიდარული წარწერები, კრ. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბ., 2012
- 39.** სულავა 2012; 6. სულავა, ჯავახეთის საღვთის-მეტყველო-ლიტერატურული სკოლა, კრ. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბ., 2012
- 40.** ორბელიანი 1993; სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. II, თბ. 1993
- 41.** ტალახაძე 1995; ი.ტალახაძე, ვაჟანის ქვაბთა მონასტრის პერსონოლოგიისათვის, კრ. ონომასტიკური ძიებანი I, ახალციხე, 1995
- 42.** ტალახაძე 2009; ი. ტალახაძე, ვაჟანის ქვაბთა განგება, თბ., 2009
- 43.** ტალახაძე 2012; ი. ტალახაძე, ვანის ქვაბთა მონასტრის „მწიგნობარ“ ქალთა სოციალური სტატუსის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები V, თბ., 2012
- 44.** ფირფილაშვილი 1997; ფირფილაშვილი ა. ვანის ქვაბთა სასწეულოში ქირურგიული მკურნალობის შესახებ, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1997, 1-3
- 45.** ქართული...1964; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.8, თბ., 1964
- 46.** ქართული...1986; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986
- 47.** ქუთათელაძე 2009; ქ. ქუთათელაძე, რომელ მონასტერს ეპუთვნის ეწ. „უცნობი მონასტრის“ იპიკონი, კავკასიოლოგიური ძიებანი I, 2009

- 48.** შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIს.), თბ., 1961
- 49.** შუბითიძე 2012; ვ. შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია მონასტრები, თბ., 2012
- 50.** ჩახრუხაძე 1978; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978
- 51.** ცისკარიშვილი 1954; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1954
- 52.** ხუცესი, 1978; იაკობ ხუცესი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978
- 53.** ჯავახიშვილი 1984; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982
- 54.** ჯიქია 1941; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, II, თბ., 1941
- 55.** ჯიქია 1958; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, III, თბ., 1958
- 56.** ძველი...1978; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978
- 57.** ხუსკივაძე, 2003; ხუსკივაძე ი., ვანი, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, გვ. 335-350, თბ., 2003
- 58.** Джалабадзе 1988; ДжалабадзеГ., Образцы тканей из Ванис-кваби, ქრ. საქართველოს მღვიმეები და გამოქაბულები, სპეციალისტიკა, თბ., 1988
- 59.** Бурдиладзе 1988; БурдиладзеС., классификация полнников керамических изделий из пустын-монастыр Ванис-

кваби, ქრ. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპეციალური, თბ., 1988

**60.** Гафриндашвили 1988; Гафриндашвили Г. Пустын как монастырский ансабль, Ванис-кваби-пустын-монастырь, ქრ. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპეციალური, თბ., 1988

**61.** Гафриндашвили 1988а; Гафриндашвили Г. Скальные храмы и их значение в развитии монументальной архитектуры Грузии, ქრ. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპეციალური, თბ., 1988

**62.** Генон 2004; Генон Р. Символы священной науки (Пер. с франц. Н. Тирос), М.2004

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი . . . . .	4
სამკვიდრებელი გურჯენათი . . . . .	9
დედათა მონასტრის საკითხისათვის ვანის ქვაბებში. . . . .	30
სასწაულო . . . . .	49
მონასტრის მფლობელ-მეპატრონენოფიპიკონის მინაწერი საბჭოების მიხედვით . . . . .	51
The Vanis Kvabebi (Vani Caves). . . . .	67
ვამოყენებული ლოცვებასცემა . . . . .	73